პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 74 (9850) | პარასკევი, 26 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა მთავრობის განცხადება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საკავშირო ალკ XII ყრილობა (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — ღრმად, საქმის ცოდნით გავაშუქოთ მეცხოველეობის საკითხები (მე-2 გვერდი).
ნ. ჯანჯღავა, ე. უბილავა. — პოლ[illegible] ზული ნაკლოვანებანი (მე-3 გვერდი).
ა. თომაძე. — ძველებურად, შ[illegible] გაუთვალისწინებლად (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
პასუხი შეკითხვაზე. — ა. ჩავლეიშვილი. — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა აღმავლობის გზაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
თბილისი — ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

ქვანახშირის მოპოვების შემდგომი აღმავლობისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მეტად საყურადღებო შედეგები მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმაც.

უკვე დადგა გაზაფხული — მშენებლობის ტემპის გაძლიერებისათვის, საწარმოთა მაქსიმალური დატვირთვით მუშაობისათვის, შრომის ნაყოფიერების საგრძნობლად გადიდებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო. მშენებლებს მეტი რაოდენობით სჭირდებათ აგური, კრამიტი, მილები, ყველა სახის საშენი მასალა, იზრდება მოთხოვნილება „მრეწველობის პურზე“ — ქვანახშირზე. მეტი აგურის, მეტი კრამიტის გამოსაწვავად საჭიროა მეტი ქვანახშირი. ქვანახშირზე გადიდებულ მოთხოვნილებას აყენებენ მეტალურგები, ენერგეტიკოსები, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები. ამიტომ არის, რომ წელს მეორე კვარტალისათვის საქართველოს ქვანახშირის ტრესტებს საგრძნობლად უდიდდებათ ქვანახშირის მოპოვების გეგმები.

წელს, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის შემდგომ პერიოდში, რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა უკეთესად იწყეს მუშაობა, მიაღწიეს გარდატეხას და ქვანახშირის მოპოვების გეგმებს წარმატებით ასრულებენ. მარტის 24 დღის გეგმა (25 მარტისათვის) ტყიბულქვანახშირის ტრესტმა 102 პროცენტით შეასრულა, ახალციხექვანახშირის ტრესტმა — 106,7 პროცენტით. ხოლო ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა — 100,1 პროცენტით. ეს ცუდი მაჩვენებლები როდია, მაგრამ ცუდია ის, რომ ყველა შახტში და შახტის ყველა საექსპლოატაციო უბანზე მიღწეული არ არის ეს გარდატეხა. არიან ისეთი შახტები, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ, სისტემატურად ჩამორჩებიან. მაგალითად, ტყვარჩელში ბოლო ხანებში ჩამორჩნენ მეორე (უფროსი ამხ. კ. კუჭუხიძე) და მესამე (უფროსი ამხ. ა. ლომია) შახტები, რომლებმაც მარტის 24 დღის გეგმები ვერ შეასრულეს. სამაგიეროდ ზეგეგმითი ქვანახშირი მოგვცეს მეოთხე და მეხუთე შახტებისა და სტალინის სახელობის შახტის კოლექტივებმა. ამ ჩამორჩენილი შახტების მუშაობის შედეგების ანალიზი მოწმობს, რომ მათმა ხელმძღვანელებმა ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის მითითებებიდან, ვერ გამოიჩინეს შახტების მუშაობაში სიძნელეთა დაძლევის უნარი.

კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ შახტებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის რაციონალურ ორგანიზაციას, ქვანახშირის ფენების დამუშავების ახალი მეთოდის — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის ფართოდ გამოყენებას, ყველა სანგრევში ციკლური გრაფიკით მუშაობისათვის პირობების შექმნას, ლავების დამუშავების მექანიზაციას, მეშახტეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესებას. ყოველივე ამის შედეგად შარშან ჩვენი შახტების საერთო სიმძლავრე სამი მეოთხედითაც არ იყო ათვისებული. ამ ნაკლოვანებებს ჯერ კიდევ ვხვდებით ზოგი შახტის მუშაობაში, თუმცა ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში სავსებით შესაძლებელი იყო მათი ლიკვიდაცია. თუ რას ნიშნავს XVI ყრილობის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლის გაშლა, რა კეთილმყოფელი შედეგი მოსდევს ასეთ ბრძოლას, როცა საშახტო პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, როგორც კომუნისტები, თვითონ უდგებიან მას სათავეში, ნათლად ჩანს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ორი შახტის მაგალითიდან. მესამე შახტის კოლექტივმა საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრა 1953 წელი, წარმატებით იმუშავა იანვარსა და თებერვალშიც, ხოლო მარტში ჩამორჩა. ჩამორჩენის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას მთავარი, მიზეზია სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა უგულებელყოფა. შახტის ხელმძღვანელები გაიტაცა დღევანდელმა შესაძლებლობამ, მათ აღარ გაითვალისწინეს, რომ საჭირო იყო ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოების გაძლიერებასთან ერთად ახალი სამუშაო ფრონტის გამზადების დაჩქარებაც, სამთო მოსამზადებელი სამუშაოების კიდევ უფრო ფართოდ გაშლა, შახტის საპროექტო სიმძლავრის მეტი მოცულობით ათვისების უზრუნველყოფა. ამ შახტის სამთო-კაპიტალურ სამუშაოთა უბანმა (უფროსი ამხ. ლ. გოგია) იანვარში გეგმა მხოლოდ 35 პროცენტით შეასრულა, ასევე ჩამორჩა თებერვალში, ხოლო მარტში სამთო მოსამზადებელი სამუშაოების ჩამორჩენამ უკვე მოახდინა გავლენა ქვანახშირის მოპოვებაზეც. შახტმა 24 დღის გეგმა მხოლოდ 89,8 პროცენტით გაანაღდა. ასეთია ამ შახტის ხელმძღვანელთა წინდაუხედაობის სავალალო შედეგი.

იქვე მეხუთე შახტის კოლექტივმა (შახტის უფროსი ამხ. მ. სიმონიშვილი) ახალი სამეურნეო წლიდან ვერ შეძლო მუშაობის გამართულად დაწყება. ჩამორჩა იანვარში, ვერ შეასრულა გეგმა ვერც თებერვალში და მარტო ამ ორ თვეში ქვეყანას რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი დააკლო. შახტის ხელმძღვანელებმა გულდასმით მოჰკიდეს ხელი საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის მითითებათა შესრულებას, დარაზმეს მასები და მარტის დასაწყისიდან შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა. მარტის 24 დღის გეგმა შახტის კოლექტივმა უკვე 100,2 პროცენტით გაანაღდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინადღეები საქართველოს მეშახტეებმა მნიშვნელოვანი მიღწევებით აღნიშნეს. ეს მიღწევები უწინარეს ყოვლისა მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, 1954 წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მასების უნარიანად დარაზმვის შედეგია.

ახლოვდება მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — პირველი მაისი. საბჭოთა მეშახტეების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღება, დედა-სამშობლოსათვის საპირველმაისო საწარმოო საჩუქრების მიძღვნა.

ქვანახშირის რაიონების პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა არ დაუშვან არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული ტემპის შენელება, უფრო ფართოდ გაიჩაღონ გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა და ჩაბან მასში უკლებლივ ყველა მეშახტე, მიწის ზედაპირზე და მიწისქვეშა ყველა მუშაკი ქვანახშირის ამოღების გადიდების, ნაკრიანობის შემცირების, სამთო მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენების, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების მისაღწევად.

ხელი შევუწყოთ მეშახტეებს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, ჩავაბათ მეშახტეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი, მივაღწიოთ მყარ გარდატეხას ქვანახშირის მოპოვებაში — ასეთია საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის დავალება.

ბრძანებულება

წაქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარსამმართველოს თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნისათვის კამოს სახელის მიკუთვნების შესახებ

მიეკუთვნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარსამმართველოს თბილისის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანას კამოს (ტერ-პეტროსიანი) სახელი და ამიერიდან ეწოდოს „თბილისის კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხანა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიგიძე.

ქ. თბილისი. 1954 წ. 25 მარტი.

ბრძანებულება

წაქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. გ. თვალჭრელიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გიორგი გრიგოლის-ძე თვალჭრელიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიგიძე.

ქ. თბილისი. 1954 წ. 5 მარტი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ

საბჭოთა კავშირის მთავრობა მუდამ ხელმძღვანელობს მისწრაფებით ხელი შეუწყოს გერმანიის პრობლემის მოწესრიგებას მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისა და დემოკრატიულ საფუძვლებზე გერმანიის ეროვნული გაერთიანების უზრუნველყოფის ინტერესების შესაბამისად.

ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის დაახლოების პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარება, სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების განხორციელება, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

მიუხედავად საბჭოთა კავშირის მეცადინეობისა, ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, არ ყოფილა გადადგმული რაიმე ნაბიჯი გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

ასეთი მდგომარეობის გამო და იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც საბჭოთა მთავრობას ჰქონდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, სსრ კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია უკვე ახლა, გერმანიის გაერთიანებამდე და საზავო ხელშეკრულების დადებამდე, გადადგას შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც შეესაბამება გერმანელი ხალხის ინტერესებს, სახელდობრ:

1. საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ამყარებს ისეთსავე ურთიერთობას, როგორიც აქვს სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს თავის საშინაო და საგარეო საქმეებს, მათ შორის დასავლეთ გერმანიასთან ურთიერთობის საკითხებს.

2. საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ინარჩუნებს უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობენ ვალდებულებებიდან, რაც სსრ კავშირს დაეკისრა ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებებით.

საბჭოთა მთავრობამ მიიღო ცნობად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი დაიკავებს ვალდებულებებს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის გამომდინარეობენ პოტსდამის შეთანხმებიდან გერმანიის, როგორც დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს განვითარების შესახებ, აგრეთვე ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

3. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისადმი მეთვალყურეობა, რასაც აქამდე ახორციელებდა სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი გერმანიაში — უქმდება.

ამის შესაბამისად გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის ფუნქციები განისაზღვრება იმ საკითხებით, რომლებიც დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნულ უშიშროების უზრუნველყოფასთან და იმასთან, რომ შესაბამისი ურთიერთობა იქონიოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებთან სრულიად გერმანიის ხასიათის საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობენ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებული გადაწყვეტილებებიდან გერმანიის შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ „საოკუპაციო სტატუტის“ არსებობა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა დააწესეს დასავლეთ გერმანიისათვის, არა თუ შეუთავსებელია დემოკრატიულ პრინციპებთან და გერმანელი ხალხის ეროვნულ უფლებებთან, არამედ ახლანდელ პირობებში, აძნელებს რა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის დაახლოებას, ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა გერმანიის ეროვნული გაერთიანების გზაზე.

ჩვენს დიად სამშობლოში

კუიბიშევი. ავტოსატრაქტორო მოწყობილობისა და კარბიურატორების ქარხანა საოსფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებისათვის, საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნებისათვის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველსაყოფად უშვებს სხვადასხვა ელექტრომოწყობილობას. **სურათზე:** საგენერატორო ღუზების საამქროს კონტროლიორი ა. კორშაკოვა (მარცხნივ) და კონტროლის ოსტატი თ. ვოლკოვა ათვალიერებენ მზა პროდუქციას.

ფოტო ნ. ფინიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

★ ★

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები

კიევი. უკრაინის სამხრეთ ოლქების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ საადრეო საგაზაფხულო კულტურების თესვას. ოდესის, კიროვოგრადისა და სხვა ოლქების მთელ რიგ რაიონებში სპეციალისტების მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით თესლს დათესვის წინ ფოსფორ ბაქტერინითა და აზოტბაქტერინით ამუშავებენ. მტს-ებისა და კოლმეურნეობების აგრონომები თვალყურს ადევნებენ ამ სასუქების დროზე გამოყენებას.

მომდინარე გაზაფხულზე ბაქტერიულ სასუქებს რესპუბლიკაში გამოიყენებენ სამ მილიონ ჰექტარზე — სამჯერ უფრო მეტ ფართობზე, ვიდრე გასულ წელს. განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ბაქტერიულ სასუქებს ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესებში.

ორიოლი. ოლქის კოლმეურნეობები გაზაფხულისათვის ემზადებიან. მათ საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს თესლი, განახორციელეს მინდვრებში თოვლის შეკავების სამუშაოები. პოკროვსკოეს, მცენსკის, ვოლხოვისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა მთელი თესლი გადაცვალეს უხვმოსავლიანში.

ხტენეცის რაიონში ფართოდ გაჩაღდა ტორფის მოპოვება სასუქისათვის, სოსკოვოს რაიონში მიმდინარეობს ტუფის დამზადება მეცავე ნიადაგების გაკირიანებისათვის.

ოლქში ათეულ ათასობით ჰექტარით ფართოვდება მარცვლეულის ნათესები სათესი ფართობების სტრუქტურის შეცვლისა და ყამირი მიწების ათვისების გზით.

კუიბიშევი. კოლმეურნეობები, რომლებსაც მომსახურებას უწევს 1-ლი კინელ-ჩერკასის მტს-ი, ეშზადებიან იმისათვის, რომ მნიშვნელოვან ფართობებზე დათესონ საგაზაფხულო ხორბლის გათანაბრებული თესლი. მარცვალსაწმენდ მანქანებში დამატებითი დამუშავების გზით შეარჩევენ თანაბარ, ყველაზე მსხვილ და მძიმე მარცვალს. ზომით და წონით გათანაბრებული ასეთი თესლი ხშირ და კარგ აღმონაცენს იძლევა და უზრუნველყოფს მოსავლიანობის გადიდებას.

გათანაბრებულ თესლს ამზადებს ოლქის ბევრი კოლმეურნეობა.

ნოვგოროდ-სევერსკი (ჩერნიგოვის ოლქი). რაიონში დიდ ფართობებზე ითესება წიწიბურა. ეს კულტურა აქ დაიკავებს შვიდი ათასამდე ჰექტარს. სპეციალისტებმა განაზოგადეს და ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელში გადაქვთ მოწინავე გამოცდილება კალინინის სახელობის კოლმეურნეობისა, რომელიც პოლუსიეს 200 ჰექტარი ნიადაგის თვითეულ ჰექტარზე 12-15 ცენტნერ წიწიბურას იღებს. ამ კულტურას აქ თესავენ მზრალში, ჩახნავენ დიდ ფართობზე ხანკოლას, თესლს გაწმენდენ, წყლით გარეცხავენ, ხოლო დათესვის წინ მზეზე გათბობენ.

მოწინავე აგროწესები ინერგება ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელში.

22 მარტი. (საკდესი).

ლენინგრადი. ფაბრიკა „ხკოროხოდიხ“ კოლექტივმა გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის მოამზადა მამაკაცისა და ბავშვის ფეხსაცმლის 50 ახალი მოდელი. წარმოებაში დანერგილმა ნიმუშებმა სავაჭრო ორგანიზაციების მოწონება დაიმსახურა. **სურათზე:** ასორტიმენტის ჯგუფის ხელმძღვანელი ე. ა. კეხსარიოსკაია (მარჯვნივ) და უფროსი მოდელიერი ნ. მ. სუხოვა წარმოებისათვის არჩევენ ახალ მოდელებს.

ფოტო პ. ფედოტოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

მოსკოვის საწარმოებში

მოსკოვის საწარმოებში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პირველი მაისის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველ საკისართა ქარხანაში შეჯიბრებაში ჩაება ათასზე მეტი ბრიგადა. წინ არის წვრილ სერიათა № 4 საამქროს ხარატთა ბრიგადა, რომელსაც ამხ. კულიასოვი ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა ნორმებს ასრულებს 170-180 პროცენტით და იძლევა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას.

ელექტროლამპების ქარხანაში მოწინავეა საამქრო, რომელშიც იწყობა ლამპები საკოლმეურნეო რადიომიმღებებისათვის „როდინა“, „ტულა“, „ლუჩი“ და სხვ. 24 მარტს ამ საამქროში გაიმართა ხალხმრავალი კრება, რომელიც მიეძღვნა პირველი მაისის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას. ერთსულოვნად გადაწყდა ვადამდე შეასრულონ ოთხი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვან ასეულ ათასობით რადიოლამპა.

ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხანაში საპირველმაისო ვახტზე ერთ-ერთი პირველთაგანი დადგა მოტორების ამწყობი საამქროს კოლექტივი. ამხ. მარუკოვის მეკარუსელეთა ბრიგადა ამ დღეებში ერთისამად ასრულებს ცვლის დავალებებს და მთელ პროდუქციას აბარებს საუკეთესო შეფასებით. (საკდესი).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის

ამ დღეებში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მოწვეულმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირმა განიხილა საკითხი — აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

როგორც მომხსენებელმა, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ბერულავამ, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ უდიდეს რეზერვებზე, რომლებიც რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს აქვთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიმდინარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აფხაზეთში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საგრძნობი ჩამორჩენაა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში ნიადაგის გადაბარვის, საგაზაფხულო ხეხილისა და სხვა სამუშაოებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პასუხად, — თქვა თავის გამოსვლაში გალის რაიონის სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ი. კარტოზიამ, — ჩვენმა კოლექტივმა ვალდებულება აიღო წელს ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 3.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ 18 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს, გადიდოს შრომის ნაყოფიერება და სახელმწიფოს მისცეს 500 ათასი მანეთი დაგროვება.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ღვადის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრის მარიამ აღლიბას გამოსვლა. მან დამსწრეებს გაუზიარა თავისი მუშაობის გამოცდილება და დანაცხადა, რომ 1954 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მიიღებს 12 ტონა პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლს.

გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ა. ბესლანძემ და ზ. ტოპჩიანმა მკაცრად გააკრიტიკეს აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობა, რომლის მუშაკებიც ჯერ კიდევ გართული არიან ყოველგვარი მიწურ-მოწურით, სასხდომი ფუსფუსით, ხოლო ადგილებზე უშუალო ხელმძღვანელობისა და საქმიანი დახმარებისათვის თავს არ იწუხებენ.

თათბირის მონაწილეები არ დააკმაყოფილა აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს უფროსის ამხ. კ. თავდუმაძის გამოსვლამ. იგი შეეცადა სამმართველოს ცუდი მუშაობა სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით აეხსნა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების მიერ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულ ამოცანებზე.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა აიღეს ვალდებულება: წელს გააშენონ ჩაის ახალი პლანტაციები 974 ჰექტარზე, გეგმის გადაჭარბებით მოკრიფონ 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი, გაადიდონ თამბაქოს ფართობი 400 ჰექტარით და საშუალოდ მიიღონ ჰექტარზე 13,5 ცენტნერი. ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების, მეხილეობის, მევენახეობის, სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

გ. წიბლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სტალინური პრემიების მოსაპოვებლად

24 მარტს მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმმა განიხილა სოფლის მეურნეობის, ბიოლოგიის, მედიცინის, ეკონომიკის დარგის მეცნიერული შრომები, რომლებიც წარდგენილია 1952-1953 წლების სტალინური პრემიების მოსაპოვებლად.

სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა, რომელმაც დაახასიათა ახალი მეცნიერული შრომები სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა მეცნიერებმა განახორციელეს ბევრი ძვირფასი გამოკვლევა, რომლებიც ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას. წარმოდგენილ შრომებს შორის არის ნიადაგის ახალი გამოკვლევები, ხეხილის კულტურებისადმი, მეტყევეობისა და რწყვისადმი მიძღვნილი სხვადასხვა შრომები და სხვ.

აკადემიკოსმა ვ. ა. ენგელგარდტმა ილაპარაკა ნაშრომებზე ბიოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, პავლოვური ფიზიოლოგიის დარგში. მნიშვნელოვანი შრომებია წარმოდგენილი ქირურგიის, თერაპიის, მედიცინის ისტორიის დარგში. მათ შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. ნ. ჟუკოვ-ვერეენიკოვმა. პროფესორმა პ. ა. ბელოვმა ილაპარაკა ეკონომიკის მეცნიერებათა დარგის ახალ ნაშრომებზე.

გუშინ განიხილეს აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა ბევრი სახელმძღვანელო მედიცინის, ბიოლოგიის, ფიზიკის, სოფლის მეურნეობის, ისტორიის, ფილოლოგიის დარგებში. (საკდესი).

საკავშირო ალკკ XII ყრილობა

23 მარტს, საღამოს სხდომაზე, დაიწყო კამათი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ტუმანოვის მოხსენების გამო. სიტყვა ეძლევა უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ბალიასნაიას. იგი ლაპარაკობს, რომ პიონერთა რაზმეულები უკრაინაში თავიანთ რიგებში აერთიანებენ დაახლოებით 4 მილიონ ნორჩ ლენინელს. დიდი მუშაობა წარმოებს ამჟამად პიონერრაზმებსა და რაზმეულებში რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. უკრაინელი პიონერები ბევრ წერილს იღებენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოსწავლეებისაგან.

ამხ. ბალიასნაია აღნიშნავს, რომ უკრაინის პიონერორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სერიოზული ნაკლოვანებანი. ხშირად პიონერთა მუშაობას გადაჰარბებენ არეგლამენტებენ სკოლის დირექტორი, მასწავლებელი და პიონერხელმძღვანელი, რაც ახშობს ბავშვთა ინიციატივას.

ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. იბრაევა ლაპარაკობს პიონერორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ. ბევრი რაზმის საქმიანობას ხშირად ახასიათებდა მოსწყენი შეკრებები, რომლებზეც განიხილავდნენ საკითხებს ჩამორჩენილ და უდისციპლინო მოწაფეთა შესახებ, წყვეტდნენ ამოცანებს, წერდნენ კარნახით. მოსწავლეთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის მიზანი უნდა იყოს არა მარტო გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება, არამედ პიონერთა აქტიური მონაწილეობაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ის, რომ პიონერორგანიზაციების მუშაობა უფრო საინტერესო და წარმტაცი იყოს.

საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დავიდოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ყრილობაზე პიონერორგანიზაციის მუშაობის საკითხის დასმა იმას მოწმობს, რომ საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს მისდამი ხელმძღვანელობა კომკავშირის მხრივ. ყრილობის დელეგატები მოელოდნენ, რომ ამხ. ტუმანოვის მოხსენებაში გამოძიებულ იქნებოდა საერიოზული ნაკლოვანებანი პიონერული მუშაობისადმი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში, მაგრამ ეს არ მოხდა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ, ამბობს შემდეგ ამხ. დავიდოვი, წინადადებას პიონერულ მუშაობაში შეჯიბრების შესახებ. შეჯიბრება უვითარებს პიონერებს მისწრაფებას — უკეთ შეასრულონ დაკალებული საქმე, სურვილს — დაალონ სიძნელენი, გაუსწრონ თავიანთ ამხანაგებს. ამასთან საჭიროა შემოღებულ იქნას წახალისების სხვადასხვა ფორმა — პიონერთა გარდამავალი ალმები, პიონერრაზმეულების საპატიო წიგნები და სხვ. საჭიროა აღორძინდეს პიონერთა კარგი ტრადიციები — განსორციელდეს საზეიმო ხაზები, პიონერთა შეკრებები, კოკონები, ლაშქრობა, საღამესასწაულო თამაში, შეჯიბრება და სხვ.

პიონერრაზმეულის საქმიანობა, ამბობს კომკავშირის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. სარაფანკოვა, ბევრად არის დამოკიდებული უფროს პიონერხელმძღვანელზე. ამ უკანასკნელ ხანს საოლქო კომკავშირულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია უფროს პიონერხელმძღვანელთა მედაგოგიური განათლების ამაღლებისათვის. ამის შედეგად მათს 70 პროცენტს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.

უფროს პიონერხელმძღვანელთა ძირითადი შეუვლება მოდის პედაგოგიური სასწავლებლებიდან. მათი უმრავლესობა სუსტად მუშაობს, რადგან სასწავლებლში არ მიუღიათ საჭირო პრაქტიკული ჩვევები. საჭიროა, აღნიშნავს ამხ. სარაფანკოვა, გადაისინჯოს პიონერხელმძღვანელთა მომზადების არსებული წესი.

ყრილობის დელეგატები ერთსულოვანი ტაშით ეგებებიან გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის თავჯდომარის ერიხ პონეკერის გამოჩენას ტრიბუნაზე. იგი მიესალმა ყრილობას გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის სახელით და გადასცა ისტორიული ფილმი „ერნსტ თელმანი — თავისი კლასის შვილი“.

ინგლისის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ეროვნული კომიტეტის მდივანი ჯონ მოსი, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად შეეგებენ, ლაპარაკობს ინგლისის ახალგაზრდობის მეგობრულ გრძნობებზე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობისადმი. იგი სთხოვს ყრილობას მიიღოს ინგლისის ახალგაზრდობის საჩუქრები, რომელთა შორის არის ფილმი 1952 წელს შეფიღლში გამართული ახალგაზრდობის მშვიდობის დაცვის ფესტივალის შესახებ.

რუმინელი ახალგაზრდობის სახელით ყრილობას მიესალმა რუმინეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილე მუშატი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეეგებენ. მან ყრილობას გადასცა საჩუქარი.

გულთბილი მისალმებით გამოვიდა ინდოეთი ნარასაიან საკამური — ანდხრას პროვინციის (ინდოეთი) ახალგაზრდობის ფედერაციის პრეზიდენტი. ინდოეთის ახალგაზრდობისა და საბჭოთა ჟამუკების და ქალიშვილების მეგობრობის ნიშნად იგი სთხოვს ყრილობას მიიღოს ახალგაზრდა ინდოელი ხელოსნების მიერ გაკეთებული საჩუქარი. დელეგატები მქუხარე ტაშით ხვდებიან ინდოეთის ახალგაზრდობის წარმომადგენელს.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ოგრეთვე საკავშირო ალკკ ეროონეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. რაზდომაღინი და ლიტვის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პეტკავიჩიუსი.

24 მარტს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, საკავშირო ალკკ XII ყრილობა განაგრძობდა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მოხსენების განხილვას.

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვასაძე. საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრების მაგალითებით მან ცხადყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვა მოზარდი თაობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელ ამერკავკასიაში 20 საშუალო სკოლა იყო, ახლა მარტო საქართველოს რესპუბლიკაში 4.258 სკოლა და 19 უმაღლესი სასწავლებელია.

ამხ. ვასაძე შეეხო პედაგოგთა და მოსწავლეთა კოლექტივების ურთიერთდამოკიდებულებას. ჩვენ ხშირად ვხედავთ, ამბობს იგი, რომ პედაგოგები მოწყვეტილი არიან მოსწავლეთა ორგანიზაციებს, მასწავლებელთა ნაწილი ჯეროვნად ვერ აფასებს მათს მნიშვნელობას. ეს ზოგჯერ ხდება იმის გამო, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მომავალ მასწავლებლებს არ უნერგავენ სკოლაში კომკავშირული და პიონერული მუშაობის ჩვევებს.

ამხ. ვასაძემ მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გაკეთი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სკოლების განყოფილებისა და მდივნის ამხ. ტუმანოვის მიმართ, რომლებიც ცუდად იცნობენ მდგომარეობის ადგილებზე, არ უწევენ დახმარებას რესპუბლიკის კომკავშირს პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, პიონერხელმძღვანელთა მომზადებაში.

ყრილობაზე გამოსულმა ამხ. სურკოვმა, ამბობს ორატორი, მოიყვანა ციტატები მაიაკოვსკის ლექსებიდან. მაიაკოვსკის ჩვენ ვიცნობთ და გვიყვარს, იგი ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო პოეტია, მაგრამ ახლანდელ პოეტებს რატომ არ აღმოაჩინდათ ყრილობაზე წასაკითხავად ასეთი ლექსები, რომლებიც ისევე აღგაფრთოვანებდა, როგორც მაიაკოვსკის ლექსები? რატომ ივიწყებს ბევრი მწერალი და პოეტი, რომ მათი ნაწარმოებები ახალგაზრდობის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა? დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ.

ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მარტინოვიჩმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანოების მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა პიონერთა რაზმების უფროსი ხელმძღვანელების შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის ხელი შეუწყო პიონერული მუშაობის გამოცოცხლებას. მაგრამ ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ არ ეგრძნობა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების როლი. მოსწავლეთა დიდი რიცხვი ჩამორჩენა სწავლაში, არის უფროსებისადმი ბავშვების არასწორი დამოკიდებულების ფაქტები.

ერცელი და თვალუწვდენი ჩვენი სამშობლო, ამბობს კომკავშირის ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ბუსიგინი, და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში ვგრძნობთ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას ბავშვებისათვის. ბავშვთა დასვენების მოწყობისათვის სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ სახსრებს ხარჯავს. შორეული აღმოსავლეთის პიონერებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ცოცხლად და საინტერესოდ გაატარონ საზაფხულო არდადეგები არა მარტო თავიანთ მხარეში, არამედ შავი ზღვის სანაპიროზეც.

ამხ. ბუსიგინმა მკეთრად გააკრიტიკა ეურნალები „ნაჩალნაია შკოლა“, „ვოკატი“, რომლებიც ხელს არ უწყობენ იმას, რომ საინტერესო იყოს პიონერული მუშაობა, არამედ, პირიქით, თავიანთი ნაკლებით მოფიქრებული რჩევებითა და კონსულტაციებით ზოგჯერ ხელს უშლიან პიონერხელმძღვანელებსა და პიონერებს ინიციატივის გამოჩენაში.

კომკავშირის კიროვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გირეევმ ილაპარაკა ოლქის პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. შარშან მოეწყო ნორჩ პიონერთა შეკრებები, სადაც ბავშვო სახლების აღზრდილთა შემოქმედების ოლიმპიადა, ფარსკვლავისებური ლაშქრობა — ესტაფეტა ყველა რაიონში შმობლიური მხარის შესასწავლად, საზღვაო და საავიაციო მოდელისტთა შეჯიბრება. ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა პიონერული ორგანიზაციის მუშაობაზე, გააქტიურა იგი, გაუმჯობესა შინაარსი. წელს ზაფხულში განზრახულია მოეწყოს ბავშვთა საოლქო ფესტივალი.

ოლქის ბევრმა სკოლამ, აღნიშნავს ამხ. გირეევი, შეიძინა საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნისათვის ბრძოლის გამოცდილება. სხვადასხვა წრეში მეცადინეობს 190 ათასზე მეტი მოსწავლე. შემნილია ტრაქტორის, კომბაინის, ავტომობილის, მოტოციკლის შემსწავლელი 180 წრე.

ორატორი შეეხო მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხებს, წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ სასწავლებელთა პროგრამებში შეტანილ იქნას პიონერულ ორგანიზაციებში მასწავლებელთა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესწავლა, ოგრეთვე გათვალისწინებულ იქნას პიონერული მუშაობის პრაქტიკა.

თავჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის მისასალმებლად მოვიდნენ მოსკოვის ნორჩი პიონერები. გაისმის პიონერული მარში, ალმებით შემოდიან დარბაზში წითელყელსახვევიანი გოგონებისა და ბიჭუნების კოლონები. ნორჩ ნატურალისტებს მოაქვთ ცოცხალი ყვავილების თაიგული, პიონეულის ძნები, ხილი და ბოსტნეული. თავიანთ ნაკეთობათა ნიმუშები — გემების მოდელები, მფრინავი ავიამოდელები უკავიათ ტექნიკური წრეების წევრებს. მძღოლებნი, მოთხილამურეები, მოცეკვავეები მოდიან თავიანთი სპორტული კოსტიუმებით, ნორჩი მეზღვაურები თეთრი მატროსულებით, უსაჩინო ქუდებით. ყრილობის დელეგატები ფეხზე ამდგარი აღფრთოვანებით მიესალმებიან სოციალისტური სამშობლოს პატარა მოქალაქეებს. დარბაზში გაისმის ბავშვთა მისალმების აღფრთოვანებული ხმები.

გოგონები და ბიჭუნები სიამაყით ლაპარაკობენ პიონერისა და კომკავშირელის მაღალ წოდებაზე, უამბობენ დამსწრეებს პიონერულ საქმეებს, უზიარებენ მათ თავიანთ ოცნებას, რომ გახდნენ მუშები, ინჟინრები, მემინდვრეები, ტრაქტორისტები... თავიანთ სიტყვებს პიონერები ამთავრებენ იმით, რომ დიდებას უსურვებენ საყვარელ სამშობლოს, მთავრობას, პარტიას. ბავშვებმა პრეზიდიუმს უძღვნეს ყვავილთა თაიგულები. ყრილობის დელეგატები მხურვალე ტაშის გრიალით აცილებენ ნორჩ ლენინელებს.

სიტყვა ეძლევა სახალხო ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლუჩეზარ ავრამოვს, რომელსაც დელეგატები მხურვალედ შეხვდნენ.

ბულგარეთის ახალგაზრდობა, ამბობს იგი, თვალისჩინეიით უფრთხილდებოდა და უფრთხილდება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელ შეგობრობას — ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალას, ეს ურყევი ხალხის მზეა და ჰაერს. ლუჩეზარ ავრამოვმა ყრილობას გადასცა კომპოზიცია ქანდაკებისა „ლაპარაკობს მოსკოვი“. იგი გამოგზავნეს ბულგარელ პარტიზანთა ჯგუფს, რომლებიც უსმენენ რადიოგადაცემას მოსკოვიდან.

სიტყვას ამბობს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ამხ. კუზნეცოვი. საბჭოთა პროფკავშირებს, ამბობს იგი, მუშაობა მოზარდ თაობის კომუნისტური აღზრდისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ. კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში შექმნილია 1.600 საბავშვო სექტორი და ტექნიკური სადგური, 500 ათასი ბავშვი მეცადინეობს მხატვრულ, ტექნიკურ და სხვა წრეებში. პროფკავშირთა კლუბებში გახსნილია ათასზე მეტი საბავშვო ბიბლიოთეკა. ბევრ კლუბს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სკოლებთან, მუშაობენ ბანმის ფშობელთა და მასწავლებელთა აქტივს.

მაგრამ პროფკავშირული ორგანიზაციები, ამბობს ამხ. კუზნეცოვი, მთელიანად ვერ იყენებენ იმის შესაძლებლობებს, რომ უფრო აქტიური დახმარება გაუწიონ მუშებსა და მოსამსახურეებს ბავშვთა აღზრდაში, გვერდს უვლიან ბავშვთა უსატრონობის ფაქტებს, ზხრად ფულგრილად ეძიებენ სკოლების საჭიროებებს და მოსწავლეთა კულტურული დასვენების მოწყობას. პროფკავშირთა ნებაყოფლობითი საორტიული საზოგადოებანი სუსტად აწარმოებენ სასპორტო-ფასობრივ მუშაობას ბავშვებში, რის შედეგად ბავშვთა ფიზკულტურული კოლექტივები ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია.

პიონერული მუშაობის მოწყობის ორგანიზაციის გამოცდილება გაუზიარა ყრილობის დელეგატებს ნოვოჩერკასკის № 19 საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ამხ. პეტრენკომ. წინათ რაზმების შეკრება მოწყენილად მიმდინარეობდა, ბევრი მასწავლებელი არ მონაწილეობდა პიონერულ ცხოვრებაში. ახლა სურათი ასეთი, როგორ პიონერთა ორგანიზაციის ცხოვრებაში შეიჭრა შეჯიბრების, რომანტიზმის სულისკვეთება. ამას წინათ თვითონ პიონერების წინადადებით, მე-7 „ბ“ კლასში მოწყოო შეკრება თემაზე: „გაყვარდეს, აფასებდე და იცოდე დიადი რუსული ენა“. შეკრებისათვის მომზადდა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო დიდი ადამიანების აზრები რუსული ენის სიდამაზის, სიდიადის შესახებ, პიონერებს ეხმარებოდნენ მასწავლებელი და ბიბლიოთეკარი. შეკრებაზე მოწვეულ იქნენ მშობლები, ხელოვნების მუშაკები, სტუმრები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. შეკრების შემდეგ, რომელიც მეტად აქტიურად და საინტერესოდ ჩაიარა, ბევრი პიონერი ჩაეწერა მეტყველი კითხვის წრეში. სკოლის პიონერები მონაწილეობენ ეკსკურსიებში, ლაშქრობებში, თამაშობაში, სასპორტო შეჯიბრებებში.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ოგრეთვე საკავშირო ალკკ უფის საქალაქო კომიტეტის მდივან ამხ. სატაევი და კომკავშირის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. მაკეევი.

24 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მოხსენების გამო.

ტრიბუნაზეა ესტონეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ტოლასტი. ჩვენი რესპუბლიკა, ამბობს იგი, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა კავშირში. 14 წლის წინათ ბურჟუაზიულ ესტონეთში მშრომელთა ბავშვები ვერც კი ოცნებობდნენ საშუალო და მით უმეტეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლაზე. სასიხარულო და ბედნიერი გახდა ახალგაზრდობის, მთელი ხალხის ცხოვრება საბჭოთა ესტონეთში. რესპუბლიკაში განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი განათლება, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების ხუთ ქალაქში — საშუალო განათლება. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობს სწავლას.

ამხ. ტოლასტი აღნიშნავს, რომ პიონერთა რაზმეულების, რაზმებისა და რგოლების მუშაობა უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში რამდენადმე გამოცოცხლდა. მთელ რიგ რაზმეულებში საინტერესო ღონისძიებანი ხორციელდება. მაგრამ პიონერხელმძღვანელთა და მასწავლებელთა ნაწილი მცდარად ფიქრობს, რომ პოლიტიკური აღზრდა ამოიწურება მხოლოდ ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი საუბრებითა და შეკრებებით, არ ესმის ის, რომ პიონერული მუშაობის ყველა სახეობის მიზანი ის უნდა იყოს, რომ აღზარდონ ბავშვები კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებად. რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ ცუდად ხელმძღვანელობს პიონერხელმძღვანელებს, ხოლო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი საჭირო დახმარებას არ გვიწევს ამ საქმეში.

პიონერული მუშაობის წარმატება, ამბობს ქალაქ მოსკოვის 605-ე სკოლის დირექტორი ამხ. ბრუსნიჩინა, მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აქტიურ და გონიერულ მონაწილეობას იღებს ამ მუშაობაში მასწავლებელი. ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი ზედმეტ გულმოდგინებას იჩენს, მეტისმეტად ცდილობს ყველაფერი აკეთოს ბავშვების მაგივრად — შეადგინოს მათ მაგიერ გეგმები, მომზადოს შეკრებათა თემები და სხვ. ზოგიერთი მასწავლებელი პირიქით ამ აზრისაა, რომ მისი საქმეა ასწავლის ბავშვებს, ხოლო პიონერული მუშაობა — პიონერხელმძღვანელის მოვალეობაა. უნდა დავეხმაროთ ჰედაგოგებს პიონერული მუშაობის შესწავლაში.

ჰედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია და განათლების სამინისტრო, აღნიშნავს ამხ. ბრუსნიჩკინა, სუსტად სწავლობენ და ავრცელებენ პიონერული მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას.

საკავშირო ალკკ კოსტრომის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ბაბიკოვი ამბობს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება. ორატორმა აღნიშნა, რომ ამხ. ტუმანოვას მოხსენებაში აღძრული არ არის პიონერული მუშაობის ბევრი საკითხი. ამის მიზეზია ის, რომ სუსტად იცან, თუ რა მდგომარეობაა ადგილებზე.

კომკავშირის კუტასის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ოზერეოვმა უამბო ყრილობას, რომ კომკავშირის XI ყრილობის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე ოლქში აშენდა 248 საშუალო და შვიდწლიანი სკოლა.

ამხ. ოზერეოვი ამბობს, რომ პიონერული მუშაობის ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პიონერთა ორგანიზაციას, მისდამი ხელმძღვანელობა მიანდეს სკოლის ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილებას.

სიტყვა ეძლევა ალმანეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივან ტოდი ლუბონიას. დელეგატები მქუხარე ტაშით გამოხატავენ თავიანთ გულთბილ გრძნობებს ალბანელი ხალხისა და მისი ახალგაზრდობისადმი.

ორატორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უანგარო მეგობრული დახმარებით ალბანელმა ხალხმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. დაე ლენინური კომკავშირი ცოცხლობდეს იმდენ ხანს, რამდენსაც მთები ცოცხლობენ, ამბობს ტოდი ლუბონია და ყრილობას უძღვნის ალბანეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის საჩუქარს.

25 მარტს საკავშირო ალკკ XII ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).



საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის XII ყრილობა. ხურათზე: კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში.

ფოტო ვ. ხალეტიანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

პრესის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად, საქმის ცოდნით ფუძემყარი მეცხოველეობის საკითხები

სამტრედიის რაიონში წლების მანძილზე ყურადღება არ ექცეოდა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, არ სრულდებოდა პირუტყვის სადგომების მშენებლობის გეგმები, მივიწყებული იყო ცხოველთა ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. ამის შედეგად რაიონში საგრძნობლად ჩამორჩა მეცხოველეობის განვითარება.

არსებული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად რაიონში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის ისტორიული პლენუმის შემდეგ. რაიონის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც სათავეში ჩაუდგა სოფლის მეურნეობის მშრომელთა ქმედით აქტივობას, მთელ ძალებს რაზმავს მეცხოველეობის აღმავლობისათვის, სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის საარტელო მეურნეობის მაღალშემოსავლიან დარგად გადაქცევისათვის.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში რაიონის პარტიულ ორგანიზაციას დახმარებას უწევს რაიონული გაზეთი „წინსვლა“. გაზეთი რაზმავს სოფლის მეურნეობის მშრომელებს მეცხოველეობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ამისათვის გაზეთი ფართოდ იყენებს თავის აქტივს, ბეჭდავს სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავჯდომარეთა, მეცხოველეობის ფერმების გამგეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, აგრეთვე ცალკეულ მოწინავე მეცხოველეთა წერილებს.

არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა მხილებასთან ერთად გაზეთი ცალობს ასახოს ის ღონისძიებანი, რომლებსაც ახორციელებენ რაიონის კოლმეურნეობები მეცხოველეობაში ჩამორჩენის დაძლევისათვის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. გასული წლის მიწურულში გაზეთში დაიბეჭდა სოფელ გომის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარის ი. გეგეშიძის წერილი, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა კეთდება კოლმეურნეობაში მეცხოველეობის დარგში ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის.

„არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, — წერს ი. გეგეშიძე, — მკეთრად გავაუჯობესეთ მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები. გამგეობის სხდომაზე კონკრეტულად განვიხილავთ მეცხოველეობის განვითარების ცალკეულ საკითხებს, დასახული ღონისძიებების თავის დროზე განხორციელებისათვის ვიყენებთ მთელ აქტივს. ფერმები დავკომპლექტეთ საქმის მცოდნე, გამოცდილი კოლმეურნეებით, სადგომებში დავამყარეთ სანიტარული წესრიგი. შევიძინეთ საჭირო ინვენტარი, შეეგმენთ მტკიცე საკვები ბაზა, პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრებისათვის სრულ წესრიგში მოვიყვანეთ და დავთბუნეთ ბინები“.

პარტიისა და მთავრობის მიერ მეცხოველეობის აღმავლობისათვის დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად გაწეულ მუშაობაზე „წინსვლის“ ფურცლებზე მოგვითხრობენ აგრეთვე სოტფელ ბაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარე გ. ნაცვლიშვილი, სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარე თ. თავაძე და სხვები.

გაზეთი დროულად გამოეხმაურა მეცხოველეობის აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას. „წინსვლის“ სამუალებით სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა და მტს-ის მუშაკებმა რაიონის კოლმეურნეობათა ყველა მეცხოველეს მიმართეს მოწოდებით გააჩაღონ შეჯიბრება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. მოწოდებამ რაიონში ფართო გამოხმაურება ჰპოვა, მაგრამ „წინსვლა“ რატომღაც არაფერს წერს, თუ როგორ მიმდინარეობს შეჯიბრება.

პარტიამ და მთავრობამ მეცხოველეობის განვითარების დარგში დიდი ამოცანები დაუსახეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. პირუტყვის გამოზამთრების ორგანიზებულად დამთავრებისათვის, სულადობისა და მთელი ნამატი მოზარდეულის მთლიანად შენარჩუნებისათვის, პირუტყვის წესიერი კვებისა და მოვლისათვის კოლმეურნეობათა გამგეობებთან თანაბრად პასუხისმგებელია სამტრედიის მანქანა-ტრაქტორთა სადგურიც. მაგრამ გაზეთის ფურცლებზე თითქმის არა ჩანს, თუ როგორ იბრძვის რაიონის მტს-ის კოლექტივი ამ მეტად პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისათვის. რაიონის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში არადამაკმაყოფილებლად ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, წლითიწლობით შეუსრულებელი რჩება მექანიზაციის გეგმები. კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად ამაში მნიშვნელოვანწილად დამნაშავეა რაიონის მტს-ი. მაგრამ გაზეთი რატომღაც გვერდს უვლის ამას, კმაყოფილდება მექანიზაციის დანერგვის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა უბრალო რეგისტრაციით, ხოლო მოწინავე სტატიაში, რომელიც იანვრის ბოლო რიცხვებში სპეციალურად მიუძღვნა მეცხოველეობის ფერმებში მექანიზაციის დანერგვას, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სამტრედიის მტს-ის საქმიანობაზე ამ დარგში.

„წინსვლა“, ისევე როგორც ბევრი ჩვენი რაიონული გაზეთი, არ იძლევა მეცხოველეობის მდგომარეობის ეკონომიურ ანალიზს. მაგალითად, კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარის თ. თავაძის წერილში აღნიშნულია, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით მიიღო 86 ლიტრი რძე, მაგრამ ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამდენი ძროხა ჰყავს კოლმეურნეობას და რამდენ რძეს იღებს ყოველ 100 ჰექტარ მიწის ფართობზე (სახნავ-სათესი, მდელო და საძოვარი). უამისოდ ხომ არ შეიძლება სრული წარმოდგენა იქონიო მეცხოველეობის განვითარების დონეზე, უჩვენო მისი შემდგომი ზრდის რეზერვები?

ძალიან მკრთალად აშუქებს „წინსვლა“ პირუტყვის გამოზამთრების ორგანიზებულად დამთავრებისათვის კოლმეურნეობების მუშაობას. გაზეთს თითქმის არაფერი უთქვამს ისეთ სერიოზულ საკითხებზე, როგორიც არის პირუტყვისათვის დაგროვებული საკვების მოვლა-პატრონობა, ფერმებში კვების რაციონების ზუსტად დაცვა, საკვების მომჭირნეობით, საზრიანად ხარჯვა და სხვ.

გაზეთი ხშირად ბეჭდავს კრიტიკულ წერილებს მეცხოველეობის საკითხებზე, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში მისი კრიტიკა არ არის მწვავე, ღრმა და კონკრეტული, ვერ რაზმავს მეცხოველეობის მუშაკებს ჩამორჩენის დაძლევისათვის, არ უჩვენებს ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებს.

აღნიშნული ნაკლოვანებანი რომ გამოსწორდეს, „წინსვლა“ ღრმად უნდა ჩასწვდეს მეცხოველეობის განვითარების საკითხებს, უფრო ფართოდ მიიზიდოს გაზეთში სათანამშრომლოდ მოწინავე მეცხოველეები, ზოოტექნიკოსები, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო მუშაკები, რომლებიც იცნობენ საქმეს და უყვართ იგი, რომლებსაც შეუძლიათ უნარიანად უჩვენონ გაზეთის ფურცლებზე კონკრეტული, პრაქტიკული საქმეები.

როცა პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს მევენახეობის განვითარებისათვის

ხაშური. (საკ. კორ.). სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნად კ. კობალაძე რომ აირჩიეს და მას მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდეს, მას შემდეგ ვენახს მზრუნველი ხელი დაეტყო, იმატა ყურძნის მოსავალმა. გასულ წელს თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერით გაზარდეს ყურძნის მოსავალი.

პარტიული ორგანიზაცია მიღწეული წარმატებებით არ კმაყოფილდება. მიმდინარე წლის 22 თებერვალს პარტიულ კრებაზე სპეციალურად განიხილეს მევენახეობის განვითარების საკითხი. სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა მ. ცერცვაძემ, ზ. ქურდაძემ, ი. კვერნაძემ და სხვებმა მოურიდებლად ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს მევენახეობაში უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესასრულებლად ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა. დამატებით ექვსი ჰექტარი ვენახის შპალერზე გადასაყვანად შეიძინეს 7,5 ტონა მავთული, ჩაატარეს მინერალური სასუქით ნიადაგის გამოკვება. დამატებითი გამოკვებისათვის მოიმარაგეს 150 ტონა ორგანული სასუქი, კოლმეურნეობა მზად არის მეჩხერი მწკრივების შესავსებად და წელს

ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ, ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ

დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის სესიაზე ვაჭრობის საკითხს განიხილავდნენ. მოკამათეებმა ამჯერადაც გააკრიტიკეს რაისამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა, და როცა სხდომის თავმჯდომარემ თქვა: საჭიროა განხილულ საკითხზე გადაწყვეტილება მივიღოთო, დარბაზში ვიღაცამ წამოიძახა:

— მივიღოთ, მაგრამ ამის შემდეგაც არაფერი გამოვა...

ეს შემთხვევითი არ იყო. მართლაც, ცოტა გადაწყვეტილებანი და დადგენილებები როდი აქვთ მიღებული გასულ და მომდინარე წელს რაისაბჭოს აღმასკომსა და საქალაქო საბჭოს ვაჭრობის გაუმჯობესებაზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — რაისამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ მუშაკებს აქედან სათანადო დასკვნები არ გამოაქვთ.

ავიღოთ საზოგადოებრივი კვების ობიექტები. დუშეთის სასადილოებში იშვიათად იშოვნით კარგად შემზადებულ კერძს. მწვანილზე და კვების სხვა პროდუქტებზე რომ არაფერი ვთქვათ, სასადილოებს მთელი კვირაობით არა აქვთ ხორცი, არა აქვთ აგრეთვე ბურღული, ბოსტნეული. არის შემთხვევები, როცა კერძებს დაბალი ხარისხის ხორცისაგან ამზადებენ.

სასადილოებში ჭუჭყია. სანიტარულ ინსპექციას მრავალი აქტი აქვს შედგენილი საზკვების ობიექტებში ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ამისათვის მკაცრად არავინ დაუსჯიათ. სასადილოებს იშვიათად უწევენ კონტროლს რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. პაპაშვილი, მისი მოადგილე მ. ხუნდაძე და სხვები.

საზოგადოებრივი კვება მიტოვებული უბანია დუშეთში. სასადილოებს ზოგჯერ არა აქვთ მენიუ, საკმარისი ჭურჭელი, საწყობიდან მიღებულ ღვინოებს არ უკეთდება სპეციალური იარლიყი, არის მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები.

დუშეთის მტს-ში სამასამდე კაცი მუშაობს. კარგად მოწყობილ სასადილოს დიდი დახმარების გაწევა შეეძლო მექანიზატორებისათვის. ქალაქის კოოპერატივმა აქ სასადილოს მსგავსი რაღაც გახსნა, მაგრამ იქ არ მოიპოვება კერძები, ყველი, კონსერვი, სასადილოს არა ჰყავს მზარეული.

რაისამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელები ყველაფერ ამას ლიმიტების უქონლობით ხსნიან, მაგრამ დუშეთში კარგად იციან, რომ ლიმიტი არაფერ შუაშია. აქ მთავარია ხელმძღვანელთა ინიციატივა, საქმის გაძღოლის უნარი. ჟინვალის სოფლის კოოპერატივის სასადილო კარგად ემსახურება მომხმარებლებს. აქ ყოველთვის აქვთ ახალი ხორცი და სხვა პროდუქტები, მოაწყეს ქართული პურის წარმოება. ჟინვალში თუ ეს შეძლეს, ამის გაკეთება დუშეთში მით უფრო შეიძლებოდა.

მოუგვარებელია პურით ვაჭრობა. ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა რაისაბჭოს აღმასკომის და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგნად, მაგრამ კვლავ ადგილი აქვს უხარისხო პურის გამოცხობის შემთხვევებს. ფურნის რემონტზე შარშან 25 ათასი მანეთი დაიხარჯა, საცხობი კი დღესაც არ არის კეთილმოწყობილი. არ იქნა და ვერ მოგვარდა პურის წესიერი გადაზიდვა. ამ საქმისათვის იყენებენ მოუწყობელ ავტომანქანას, რის გამო პური კარგავს ფორმას, ჭუჭყიანდება. უსუფთაობაა მაღაზიებიც. უხარისხო პურს აცხობენ ბულაჩაურში, ანანურში,

დუშეთში ლიმონათის პატარა საწარმოც აქვთ. შარშან მან კოოპერატივს 14 ათასი მანეთი მოგება მისცა. მაგრამ ვინაიდან ქარხანას სათანადო მასალას დროზე არ აძლევენ, ბოლო ხანს ლიმონათის გამოშვება თითქმის შეწყდა. გამგეობამ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ გამოშვებულ ლიმონათს იარლიყი გაუკეთოს.

არა მარტო შორეულ სოფლებში, რაიონულ ცენტრშიც კი ძველებურად, უკულტუროდ ვაჭრობენ. ქალაქის არცერთ საავაროს არა აქვს საქონლის სავალდებულო ასორტიმენტი, ზოგჯერ ვერ იშოვნით ისეთ საქონელს, როგორიც არის საპონი, ასანთი, ნავთი. ხშირად მაღაზიები იღება და იკეტება გამყიდველთა სურვილისამებრ. 19 თებერვალს დუშეთში არ იშოვნებოდა ლამპის შუშა, მაშინ როცა შუშები რაიკავშირის მთავარ საწყობს ასობით ჰქონდა.

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა თავის დროზე სერიოზული ღონისძიება გაატარეს კოოპერაციული და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს იყო გაფლანგვის შემთხვევები. ეს გამოწვეულია იმით, რომ რაიკოოპკავშირის გამგეობა არ ასრულებს ზემდგომი ორგანოების დადგენილებას კადრების სწორად შერჩევის შესახებ, სათანადო კონტროლს არ უწევს სავაჭროებს. გასულ წელს უნდა ჩატარებულიყო 8 დოკუმენტალური რევიზია, ჩატარდა მხოლოდ 1, ფორმალურად ტარდება მოულოდნელი რევიზიებიც.

რაიონში სამოცამდე კოლმეურნეობაა. თვითეულ მათგანს შესაძლებლობა აქვს გაყიდოს მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. რაიკავშირი მოვალეა მოაწყოს კოლმეურნეობათა მიერ ჩაბარებული საქონლის საბის საკომისიო წესით გაყიდვის თაობაზე. კოლმეურნეობებთან ასეთი ხელშეკრულებების დადებაში მოზიდული არ არიან სასოფლო კოოპერატივები, რაიონული კოოპერაციული კავშირების დამზადებათა კანტორები.

კოოპერაციულ ორგანიზაციებს არ მოუწყვიათ პროდუქტებით საკომისიო ვაჭრობა რესპუბლიკის ისეთ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, როგორიც არის ფოთი, ცხაკაია, ტყიბული, ჭიათურა, ახალქალაქი, თელავი, წითელწყარო. არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი პროდუქტებით საკომისიო ვაჭრობა ქუთაისში, ზესტაფონში, ხაშურში. თბილისშიც საკოლმეურნეო ბაზრებზე ხშირად ირღვევა პროდუქტებით საკომისიო ვაჭრობის წესები, ვხედებით კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორების წესის დარღვევას და ა. შ.

ცეკავშირის გამგეობამ გამოიმუშავა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საკომისიო ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებანი და დაავალა კოოპერაციულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ ღონისძიებათა განხორციელებას.

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ

ამას წინათ ცეკავშირის გამგეობამ განიხილა თბილისში და რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში, აგრეთვე სამრეწველო ცენტრებში კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საკომისიო ვაჭრობის მდგომარეობის საკითხი. შემოწმებით გამოირკვა, რომ რესპუბლიკაში ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მცირეა იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებთანაც კოოპერაციულ ორგანიზაციებს დადებული აქვთ ხელშეკრულება ნამეტი პროდუქტების საკომისიო ვაჭრობა. მაგრამ ამ საქმესაც ყურადღება არ ექცევა.

სავალალო მდგომარეობაშია დუშეთის საკოლმეურნეო ბაზარი. წვიმაში აქ გაუვალი ტალახი და სიბინძურეა. ბაზარში კულტურული ვაჭრობის ელემენტარული პირობებიც კი არ არის დაცული, არ არის ფარდულები, მაგიდები, წყალი, რადიო, საკმარისი სასწორები. საკოლმეურნეო ბაზარმა გასულ წელს გეგმა შეასრულა. მით უფრო საკვირველია, რომ მის კეთილმოწყობას არავითარი ყურადღება არ ექცევა.

რაიკავშირისა და საკოლმეურნეო ბაზრის უხეიერო მუშაობა დიდად უშლის ხელს რაიონის სამკურნალო დაწესებულებებს. საავადმყოფო კვების პროდუქტებს ძირითადად კოოპერატივში იძენს. როგორც აღვნიშნეთ, ეს პროდუქტები ზოგჯერ არ არის, ამიტომ არის ისეთი დღეები, როცა ავადმყოფებს კუთვნილი ულუფა არ ეძლევათ. აღმაშფოთებელია, რომ 25 თებერვლიდან დუშეთის საავადმყოფოს არ ჰქონდა ხორცი, სტაფილო, ჭარხალი და სხვ. მსგავსი მდგომარეობაა საბავშვო ბაღებიც.

ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ რაიონში ჯერ კიდევ ზერელედ, არაკონკრეტულად ხელმძღვანელობენ ვაჭრობას, რომ რაისაბჭოს აღმასკომი და მისი ვაჭრობის განყოფილება მუშაობაში უპრინციპობას იჩენენ, არ იბრძვიან მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის.

პარტია და მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაფართოების საკითხებს. ამას მკაფიოდ მოწმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის დადგენილება „საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს უზრუნველყონ მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობისადმი ყოველდღიური კონტროლი, აწარმოონ მტკიცე ბრძოლა საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ, იზრუნონ მოსახლეობის მომსახურების სისტემატური გაუმჯობესებისათვის.

ჯერჯერობით დუშეთის რაიონში ეს არ იგრძნობა. მარტო გადაწყვეტილებები საქმეს არ შველის. საჭიროა არა დაპირებები და დეკლარაციები, არამედ ვაჭრობისადმი კონკრეტული, ქმედითი ხელმძღვანელობა.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



დღითიდღე უმჯობესდება ხოფლად მცხოვრებთა მომსახურება ტრანსპორტით. ამ დღეებში გურჯაანის რაიონში დაწესდა ახალი საავტომობილო მარშრუტი რაიონულ ცენტრსა და სოფლებს კარდანახსა და შრომას შორის. ამ მარშრუტზე დადის ახალი კომფორტაბელური ავტობუსები. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** ავტობუსი სოფელ კალაურში.

ფოტო შ. გოქაძისა.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარმა სამმართველომ სოფლის მოსახლეობის მხატვრული მომსახურების მიზნით მიაკოვსკის, ვანისა და წულუკიძის რაიონებში მიავლინა მწერალთა ბრიგადა ვ. გორგაძის, ვ. გორგანელისა და ხ. თაუაძის შემადგენლობით.

მწერლები რაიონებში მოაწყობენ ლიტერატურულ საღამოებს, სადაც მოახსენებას თეგზა „პატრიოტიზმის იდეა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ წაიკითხავს მწერალი ვ. გორგაძე. მწერლები წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს.

Ი. ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲨᲘ

20 მარტს ტყიბულში შედგა პოეტ იოსებ ნონეშვილის შემოქმედების საღამო. ტყიბულის კულტურის სახლში მოვიდნენ მეშახტეები, რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ი. ნონეშვილის შემოქმედების შესახებ მოახსენება გააკეთა თ. სოფრომაძემ.

სიტყვები წარმოთქვეს და საკუთარი ლექსები წაიკითხეს ც. მოდებაძემ, რ. მიქაბერიძემ, ც. ბოკორიშვილმა, ნ. მხეიძემ, რ. ჭეიშვილმა.

დასასრულ ი. ნონეშვილმა წაიკითხა ახალი ლექსები და ნაწყვეტები პოემიდან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ლადო ავალიანი — **„ᲜᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ“**. სახელგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 5.000. გვ. 158. ფასი 2 მან. 40 კაპ.

წიგნში შეტანილია ავტორის მიერ უკანასკნელ პერიოდში დაწერილი ნოველები. „იმედი“, „ფეიერვერკი“ და „გამოწვევა“ თანამედროვე ეთოქას ეხება, ხოლო „ყარიბი მგოსანი“ გაშლილია დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის ცხოვრების ფონზე.

აკაკი გეწაძე — **„ᲩᲔᲛᲘ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ“**, ლექსები, სახელგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 106, ფასი 3 მან. 45 კაპ.

ახალგაზრდა პოეტის ლექსების ამ კრებულში წარმოდგენილია თანამედროვეობის თემაზე დაწერილი ნაწარმოებები. წიგნი შედგება განყოფილებისაგან: „უკვდავთა სადიდებლად“, „ომგადახდილის ღიმილი“, „სტუმრები საქართველოში“ და „გაზაფხული“.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ
ᲐᲦᲛᲝᲕᲤᲮᲕᲠᲐᲗ ᲣᲜᲔᲡᲠᲘᲒᲝᲜᲐ

საბჭოთა თეატრს დიდი ამოცანები აკისრია. განსაკუთრებით საპატიოა მოზარდ მაყურებელთა თეატრების ამოცანა — აქტიურად შეუწყონ ხელი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ერთადერთია საქართველოში. მის დადგმებს დედაქალაქის თითქმის ყველა სკოლის მოსწავლეები ესწრებიან. აქედან ცხადია ის გაზრდილი მოთხოვნილება, რომელიც მას აქვს წაყენებული ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდაში.

როგორ ასრულებს თავის პასუხსაგებ ამოცანას თეატრი? სპექტაკლების გარკვეული ღირსებებისა და მსახიობთა ნიჭიერი კოლექტივის მიუხედავად, მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში ხშირია წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

სისტემატურად, ყოველ საღამოს, სპექტაკლების დაწყებისას და დამთავრებისას თეატრის შესასვლელთან თავს იყრიან მოხეტიალენი ახალგაზრდები: იგინებიან, ჩხუბობენ, შეურაცხყოფას აყენებენ გამვლელებს. ასევე გრძელდება მაყურებელთა დარბაზშიც, სპექტაკლის მსვლელობის დროს. იარუსებიდან მსახიობთა მისამართით გაისმის უწმაწური შეძახილები, სცენაზე ისვრიან სხვადასხვა ნივთებს. ხშირია ყვავილი, ჩხუბი. ყოველივე ამის შედეგად სპექტაკლის მოსმენა შეუძლებელი ხდება. არის გოგონებისადმი არაამხანაგური დამოკიდებულების ფაქტებიც. ყოველივე ეს შეუფერებელია მოსწავლეთათვის და დამსწრე საზოგადოების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მაგალითად, მიმდინარე წლის 21 მარტს სპექტაკლს „მისი მეგობრები“ ესწრებოდნენ ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლეები. ამ დღესაც იყო წესრიგის უხეში დარღვევის ფაქტები.

ასეთი სამარცხვინო მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ თეატრის დირექციასთან ერთად სკოლის ხელმძღვანელები, სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ უწესრიგობის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებით დანაშაული მიუძღვით იმ სკოლების ხელმძღვანელებს, რომელთა მოსწავლეებიც თეატრში წესრიგს არღვევენ. დამახასიათებელია, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი სპექტაკლს არც კი ესწრება.

დროა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში სანიმუშო წესრიგი დამყარდეს.

მაყურებლები:
Ე. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ,
Მ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ,
Თ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲗᲘᲮᲐ ᲨᲔᲛᲒᲠᲩᲐ

შენობის დასახურავად კრამიტი უნდა გეყოფოდნა. გვითხრეს, სიღნაღის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, რომელსაც მდინარე ალაზნის ხიდის მახლობლად აგურ-კრამიტის ქარხანა აქვს გახსნილი, შეგიძლიათ კრამიტის შეძენაო. თუმცა ამ ქარხნის უხეიერო მუშაობაზე ბევრი გესმენოდა, მაგრამ ნათქვამია — რაც საკუთარი თვალით არ გინახავს, ნუ დაიჯერებო, და ჩვენც ასე მოვიქეცით. გადავურიცხეთ თუ არა 400 ცალი კრამიტის საფასური კომბინატს და ხელი მოაწერა თუ არა ანგარიშს კომბინატის დირექტორმა გ. შუმტაკაშვილმა, გავემართეთ კრამიტის მისაღებად ალაზნის აგურ-კრამიტის ქარხანაში.

— „მარსელის“ კრამიტს გატანთ, ჩვენს ქარხანაში დამზადებულ კრამიტთა შორის ყველაზე საუკეთესოს — მოგვახარა ქარხნის დირექტორმა ნ. ცაბუტაშვილმა. მისი სიტყვებით გამხნევებულნი შევუდექით კრამიტის დაწყობას ავტომანქანაზე. „ნაქები“ კრამიტი იქვე ხელში გვემტვრეოდა, მაგრამ წაღებაზე უარი მაინც ალარ გაგვიცხადებია, რადგან დიდი ნაწილი მთელი რჩებოდა.

ეს იყო გასული წლის ივლისში. განვლეს დღეებმა, შემდეგ თვეებმა, და ჩვენი კანტორის სახურავს 80-100 ცალი მთელი კრამიტიღა შემორჩა. შემოდგომის წვიმების და ზამთრის თოვლის შემოტევას დანარჩენმა კრამიტმა ვეღარ გაუძლო და, დასველდა თუ არა, მისგან მხოლოდ წითელი თიხა დარჩა.

ასეთი აღმოჩნდა სიღნაღის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ალაზნის აგურ-კრამიტის ქარხნის პროდუქციის ხარისხი.

Ა. ᲙᲐᲙᲐᲫᲔ,
ლაგოდეხის რაიაბრეშუმის გამგე.

ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ⓞ ლანჩხუთის რაიონიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში სოფლკორი გვატყობინებდა ადარაკის 8-წლიანი სკოლის VI-ა კლასში უდისციპლინობის ამბავს, კლასის ხელმძღვანელის ა. იმნაძის სუსტ მუშაობას, მოსწავლეთა მიმართ მის უხეშობას, კორესპონდენტია ზომების მისაღებად გადაგზავნა პარტიის ლანჩხუთის რაიკომს.

როგორც რაიკომის მდივანი ამხ. დ. მანწკავა გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. შემოწმების შედეგები ამა წლის 4 თებერვალს განიხილა რაიკომის ბიურომ. კლასის ხელმძღვანელი ა. იმნაძე კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენების, მოსწავლეების ბოლქვაძისა და ზენაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო მოიხსნა მასწავლებლობიდან. სკოლის დირექტორს ამხ. მიქანაძეს და პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. ჯაჯავას სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისათვის მიეთითათ.

ბიურომ დასახა ღონისძიებანი სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ, ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ᲝᲠᲘ ᲛᲢᲡ-ᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ

როცა ეცნობით თამარისისა და ბოლნისის მტს-ების მიერ გაწეულ მუშაობას, თვალწინ გეშლებათ ნამდვილი სურათი იმისა, თუ რა არსებითი ცვლილებები მოხდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, რა ნაბიჯებია გადადგმული მექანიზატორთა შრომის უკეთ მოწყობისათვის. ამის შესახებ მოგვითხრობს ფაქტები.

თამარისელმა მექანიზატორებმა ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთეს. შარშანდელი შემოდგომაც ერთგვარი წარმატებით აღინიშნა. მოსავლიანობის გადიდების მიზნით ხორბალი ჯვარედინად დაითესა 2.617 ჰექტარზე ნაცვლად 2.000-სა, მზრალად ხვნის დავალებას თითქმის 280 ჰექტარით გადაჭარბეს. ეს სამუშაო მტს-ის მომსახურების რვა კოლმეურნეობიდან არ შესრულებულა მხოლოდ სარაჩლოს კოლმეურნეობაში.

შარშანაც და ახლაც მოწინავენი არიან ის სატრაქტორო ბრიგადები, რომლებსაც მ. გამბაროვი, ა. ახმედოვი, ა. მეხრაზადე და სხვები ხელმძღვანელობენ. მათი ტრაქტორები წარმატებით განაგრძობენ მუშაობას ვენახის და სასიმინდე ფართობებზე.

მტს-ის პარკი გაძლიერდა ახალი მძლავრი ტექნიკით, გაუმჯობესდა მისი გამოყენება. მაგრამ გასული წლის შედეგები მოწმობენ, რომ მტს-ი მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა, თუმცა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ეს საერთო მაჩვენებელია, რომლის უკან სერიოზული ნაკლოვანებები იმალება. შარშან ხორბლისა და სიმინდის დაბალი მოსავალი მიიღეს. სექტემბრის პლენუმმა დაგმო ასეთი არასწორი პრაქტიკა და მტს-ების გადაუდებელ ამოცანად დასახა, რომ გეგმა, ხელშეკრულება შესრულდეს ყოველ კოლმეურნეობაში, ყველა სახის მიხედვით და მიღწეულ იქნას ყველა კულტურის უხვი მოსავლის მოყვანა, მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდება.

ბევრი რამ ახლაც აწუხებთ მექანიზატორებს. მათ დაგეგმილი აქვთ ნიადაგის დამუშავება რიგთა შორის. მაგრამ რით შეასრულონ? ამ სამუშაოსათვის საჭირო ტრაქტორები არა აქვთ. მტს-ის ზონაში ვენახს 480 ჰექტარი უკავია, სადაც თითქმის მთელ ფართობზე შეიძლება მექანიზაციის განხორციელება. მაგრამ ვენახის კულტივატორები კი ჯერაც არა აქვთ.

თამარისის. მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა ვრცელ და ნოყიერ მიწებზე სამანქანო ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებით უხვი მოსავლის მიღების ყველა პირობა არსებობს. ამ გაზაფხულზე ინერგება პროგრესული ღონისძიებანი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა სიმინდისა და კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივ თესვასა და რგვას. ამ წესით ექვსას ჰექტარამდე სიმინდი დაითესება. აქედან-ვე საფუძველს უყრიან კარტოფილის წარმოების გადიდებას. 133 ჰექტარი კარტოფილის ნათესი ფართობიდან კვადრატულ-ბუდობრივად დაითესება ასი ჰექტარი, საგრძნობლად გაფართოვდება ბოსტნეულ-ბოლჩეული კულტურების წარმოება. წელს ეს კულტურები 246 ჰექტარს დაიკავებს. ახლა მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება.

133 ათასი ნეშომპალის ქოთანი! ასეთი გეგმა აქვს მტს-ის კოლექტივს. დღემდე დამზადებულია მხოლოდ რვა ათასი. ასეთი ტემპი ვერ უზრუნველყოფს დავალების დროულად შესრულებას.

ამ მტს-ის მექანიზატორები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ფარდულები არა აქვთ. ამიტომ ძვირფასი იარაღ-მანქანები მინდერად ჰყრია. სპეციალისტებს სამუშაო ოთახები არ ჰყოფნით, მაგიდებს მორიგეობით უსხედან, საცხოვრებელ ბინებზე ზრუნვა არა ჩანს. მოუგვარებელია კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ყველაფერი ეს არ შეიძლება არ იცოდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მაგრამ მისგან საქმიან დახმარებას მოკლებული არიან...

ბოლნისის მტს-ის მუშაობის შედეგები მეტყველებენ, რომ წინა წლებში იგი ბედის ანაბარად იყო მიტოვებული. მოსავლიანობის გეგმების შეუსრულებლობა, არსებული ტექნიკის უხეიროდ გამოყენება, რეზერვების გამოუყენებლობა—აი როგორი იყო ეს თავმიხებებული მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

სულ სხვა სურათია ახლა. მტს-ს მეორე წელია სათავეში უდგას გამოცდილი ინჟინერ-მექანიზატორი ა. გრიგოლია. მტს-მა შეძლო ერთგვარი გარდატეხა მოეხდინა ახალი ამოცანების შესაბამისად. პირველი ნაბიჯები იმით დაიწყო, რომ მტს-ი განმტკიცებულ იქნა სპეციალისტთა ახალი კვალიფიციური კადრებით, მტს-ის პარკი შეივსო თანამედროვე ტექნიკით. შარშან შემოდგომაზე აშენდა იარაღ-მანქანების შესანახი ორი ფარდული, შემოკავებულ იქნა მტს-ის ეზო, ცალკე მოეწყო ნავთობის ბაზა. შეძენილია ოთხი სტანდარტული სახლი სპეციალისტთა და სხვა მუშაკთა საცხოვრებლად. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ამ სახლების გამართვა.

კვალიფიციური კადრებით სარემონტო სახელოსნოს განმტკიცებამ, საამქროების გამართულმა მუშაობამ უზრუნველყო ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულება. ამ სამუშაოს უნარიანად უძღვებოდა სახელოსნოს გამგე ინჟინერ-მექანიკოსი ს. ბერეკაშვილი. ტრაქტორების შეკეთებაში თავი ისახელეს პირველი სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა გ. ხურციძემ, ზ. და ი. ბარგაროვებმა. ყველაზე ადრე დაამთავრა ტრაქტორების რემონტი მეხუთე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს კომკავშირელი ფ. აბასოვი. თავიანთი მოვალეობის შესრულებაში თავი გამოიჩინეს სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებმა ა. ბეჟანიშვილმა, მ. ბაირამოვმა, ა. აპრესოვმა და სხვებმა. ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს უბნის მექანიკოსებმა ს. ომაროვმა და ბ. ბაღდასარიანმა, მჭედლმა ი. კიაშვილმა, ხარატებმა ვ. დობროვოლსკიმ, გ. მუხიგულმა.

სამართლიანია ბოლნისელ მექანიზატორთა საყვედური თავისი შეფის — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მიმართ, რომელიც მტს-ს თითქმის არავითარ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს. ბოლნისელ მექანიზატორთა თხოვნა — დახმარებოდა თუჯისა და რკინის ნამზადებით, უყურადღებოდ დარჩა. ეს არ შეშვენის მტს-ის შეფს.

ახლა მტს-ის სამოქმედო ასპარეზი უფრო გადიდდა. დიდ ფართობებზე უნდა განხორციელდეს მექანიზაცია. წელს ინერგება სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა 810 ჰექტარზე, ასეთივე წესით კარტოფილი დაირგვება 50 ჰექტარზე. მუშაობა მიმდინარეობს ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის. გათვალისწინებულია 117.000 ნეშომპალის ქოთნის დამზადება, უკვე ვზად არის 45.000 ცალი. წელს სიმინდის, კარტოფილის, ვენახის, ბოსტნეულის დამუშავება ძირითადად მექანიზებული იქნება.

როგორც აღვნიშნეთ, ბოლნისისა და თამარისის მტს-ებს კადრები საკმარისად ჰყავთ. მაგრამ საქმე ეხება ამ კადრების ხარისხს. საკმარისია ითქვას, რომ ბოლნისის მტს-ის მომსახურების ზონაში აგროტექნიკური პერსონალის 11 კაციდან მხოლოდ სამია უმაღლესი სპეციალური განათლებით.

სპეციალისტთა უმრავლესობა უზრუნველყოფილი არ არის საცხოვრებელი ბინებით. მსგავსი მდგომარეობაა თამარისის მტს-შიც. სერიოზული ნაკლია ის, რომ ჭიანურდება მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის 1954 წლის საწარმოო სამუშაოთა ხელშეკრულებების გაფორმება, რაც ამავე დროს იწვევს კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმების შედგენის შეუწყნარებელ დაგვიანებას.

ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲕᲥᲛᲜᲐᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად გარდაქმნა პარტიის ბოლნისის რაიკომის აპარატი. შეიქმნა ინსტრუქტორთა ჯგუფები თანამრისისა და ბოლნისის მტს-ის ზონებში რაიკომის მდივნების მეთაურობით უკვე იგრძნობა, რომ რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი უფრო კონკრეტული, საქმიანი ხდება.

ბოლნისის მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანია ა. დემურაშვილი. იგი გამოცდილი, საქმის მცოდნე მუშაკია. საკმარისია გაეცნოთ კომუნისტების მუშაობას, პარტიული კრებების დადგენილებებს, მათი შესრულებისათვის ბრძოლას, რომ თქვათ — ეს ორგანიზაცია მოწოდების სიმაღლეზე დგას. არ არის ისეთი უბანი, სადაც კომუნისტები არ მუშაობდნენ. ოცდაცამეტსავე კომუნისტს აქვს პარტიული დავალება. ისინი გვიჩვენებენ ავანგარდულ როლს. ბრიგადირები ა. ბეჟანიშვილი, ა. აპრესოვი, ი. გოგებაშვილი, გ. ყურბანოვი, ტრაქტორისტი ვ. ანდერსიანი, მ. კარაევი და სხვები შრომაში მოწინავენი არიან. იგივე შეიძლება ითქვას სარემონტო სახელოსნოში და სხვაგან მომუშავე კომუნისტებზე. რაიკომის მდივანს ბოლნისის მტს-ის ზონაში ამხ. ე. მირაქოვს მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლი. ეს არის თავისი სპეციალობით გატაცება (ის აგრონომია), რის გამო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მოისუსტებს ბევრ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში. კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში ჯგუფის ინსტრუქტორებს შ. კოტოლაშვილს და რ. ასათიანს საქმიანად არც კი იცნობენ. დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც 163 კომუნისტია, ჯგუფის ინსტრუქტორი დღემდე არც კი მისულა. პარტბიუროს მდივანს ლ. რეხვიაშვილს გაუძნელდა ინსტრუქტორის გ

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტში

იმ ზარალთან დაკავშირებით, რომელიც გაწიცადა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ჩრდილოეთი ნაწილის მთიანი რაიონების მოსახლეობამ სტიქიური უბედურების გამო, რაც ამა წლის თებერვალ-მარტში მოხდა დიდი თოვლის შედეგად, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ალბანეთის წითელი ჯვრის საზოგადოების განკარგულებაში გამოყო დაზარალებული მოსახლეობისათვის ძმური დახმარების გასაწევად 400 ათასამდე მანეთის პროდუქტები და მედიკამენტები.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის დახმარება ალბანეთის ჩრდილოეთ რაიონების მოსახლეობისადმი

ტირანა, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის ელჩმა ალბანეთში კ. დ. ლეონჩიკინმა ალბანეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარეს მანე ნიშოვას აცნობა, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის პრეზიდიუმი საზოგადოებათა მილიონობით წევრის სახელით დიდ თანაგრძნობას უცხადებს ალბანელ ხალხს იმ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რაც ალბანეთის ჩრდილოეთი რაიონების მოსახლეობას ეწია (ამ ზამთარში ალბანეთის ჩრდილოეთ რაიონებში დიდი თოვლი მოვიდა, რამაც ზოგიერთი დასახლებული პუნქტი მოწყვიტა ალბანეთის დანარჩენ ნაწილს. — **რედ.**). დაზარალებულთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ალბანეთის წითელი ჯვრის საზოგადოებას ძმური დახმარების გაწევის წესით გადასცეს 400 ათასი მანეთის კვების პროდუქტები და მედიკამენტები.

ალბანეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარემ მანე ნიშოვამ საზოგადოების წევრებისა და მთელი ალბანელი ხალხის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირს და მთელ საბჭოთა ხალხს ძმური დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ფხენიანი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, 21-დან 23 მარტამდე მიმდინარეობდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა კიმ ირ სენის მოხსენება მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ნაკლოვანებათა შესახებ და პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების მორიგი ამოცანების შესახებ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში, აგრეთვე განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

კარაჩში ჩავიდა ამერიკის სამხედრო მისია

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). ბრაზავილის რადიოს ცნობით, გუშინ კარაჩში ჩავიდა ამერიკის სამხედრო მისია. ეს მისია პაკისტანში დარჩება ორ კვირას და ინსპექციას გაუწევს სამხედრო ნაგებობებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება

პეკინი, 24 მარტი. (საკდესი). ხინხუას სააგენტო იუწყება, რომ გუშინ მაო ძე-დუნის თავმჯდომარეობით გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომას დაესწრნენ სუნ ბინ-ლინი, ლი ძი-შენი, ჯოუ ენ-ლაი, ჩენ იუნი, ჩენ ბო-და, გო მო-ჟო, პინ დე-ხუეი, დუნ ბი-უ და კომიტეტის სხვა წევრები.

თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის სახელით კომიტეტის განსახილველად შეიტანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც შადგინა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. სხდომის მონაწილეებმა ჩენ ბო-დას განმარტების შემდეგ გადაწყვიტეს ორ თვეში დაამთავრონ კონსტიტუციის პროექტის განხილვა, ისე რომ შეიძლებოდეს მისი შეტანა ცენტრალურ სახალხო მთავრობაში მოსაწონებლად და მისი გამოქვეყნება კონსტიტუციის პროექტის სახით.

კონსტიტუციის პროექტს განიხილავენ აგრეთვე კომისიები, რომლებიც ერთობლივად შექმნეს ზემოხსენებულმა კომიტეტმა და ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ეროვნულმა კომიტეტმა. კონსტიტუციის პროექტის ეგზემპლარები განსახილველად გაეგზავნება ადმინისტრაციული რაიონების, პროვინციებისა და ქალაქების უდიდეს ორგანიზაციებს და ყველა დემოკრატიული პარტიისა და სახალხო ორგანიზაციის ადგილობრივ განყოფილებებს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

პარიზი, 25 მარტი. (საკდესი). 18 აპრილს სრულდება 50 წელი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანოს — გაზეთ „ლუმანიტეს“ დაარსების დღიდან.

ამ თარიღთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა. მიმართვაში ნათქვამია, რომ გაზეთი „ლუმანიტე“ ამჟამად საფრანგეთის მუშათა კლასის ყველაზე დიდი გაზეთია, ხალხის გაზეთია, ფრანგი ერის ტრიბუნაა.

„არის რა ქალაქებისა და სოფლების მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნათა ყოველდღიური დამცველი, დემოკრატიული თავისუფლებებისათვის მგზნებარე მებრძოლი, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისათვის მებრძოლი, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი, აგრეთვე მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში ხალხთა ძმური კავშირის დამცველი, „ლუმანიტე“ განუწყვეტლივ იბრძვის მუშათა კლასის, მთელი ეროვნული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებისათვის“.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ გაზეთი „ლუმანიტე“ იბრძვის საფრანგეთის მთელი პატრიოტული ძალების დარაზმვისათვის, რათა დაშვებულ არ იქნას „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია. ჩაიფუშოს დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და მიღებულ იქნას საფრანგეთის დამოუკიდებელი პოლიტიკის, მშვიდობის პოლიტიკის განხორციელება, ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას გააძლიერონ გაზეთ „ლუმანიტეს“ გავრცელება.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო ამერიკელების მიერ კორეაში დაზავების შეთანხმების დარღვევის შესახებ

ფხენიანი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამერიკის მხარე კვლავ სისტემატიურად არღვევს შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ, შეაქვს რა სამხრეთ კორეაში საომარი მასალები. არასრული ცნობებით, რომლებიც წარმოადგინეს სამხრეთ კორეის გადმოტვირთვის ნავსადგურებში მოქმედმა ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთა საინსპექციო ჯგუფებმა, ჯერ კიდევ 1953 წლის 4 აგვისტოს ამერიკის მხარემ პუსანის ნავსადგურში შეიტანა 318 ყუთი, რომლებშიც ნაღმტყორცნთა ნაწილები იყო. ნოემბრის დამლევამდე ამერიკელებმა სამხრეთ კორეაში შეიტანეს 5 ათასზე მეტი დაშლილი ტყვიამფრქვევი, 155-მილიმეტრიანი 100-ზე მეტი ზარბაზანი, 105-მილიმეტრიანი 35 ზარბაზანი, 106 მილიმეტრი კალიბრის 40 ნაღმსატყორცნი და 37 რეაქტიული თვითმფრინავი. სულ დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დღიდან 1954 წლის თებერვლამდე, იუწყება სააგენტო, ამერიკელებმა სამხრეთ კორეაში შეიტანეს დაახლოებით 1.100 ათასი ტონა დაშლილი იარაღი, მათ შორის ტანკებისა და თვითმფრინავების ნაწილები.

როგორც ცნობილია, განგრძობს სააგენტო, ამერიკის მე-8 არმიის სარდალმა ტეილორმა განაცხადა, რომ შექმნილია ლისინმანელთა ოთხი ახალი დივიზია. უცხოეთის დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, რომ ამერიკის მე-5 ავიაშენაერთის სარდალ ანდერსენსა და ლისინმანელთა „ეროვნული თავდაცვის“ „მინისტრ“ სონ ვონ ირს შორის წარმოებს მოლაპარაკება ლისინმანელთა არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების შევსების შესახებ.

არავითარი ეჭვი არ არის, აცხადებს კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო, რომ ლისინმანელთა არმიის ახლად შექმნილ ჯარის შენაერთებსა და იმ შენაერთებს, რომლებსაც ავსებენ, აიარაღებენ იმ იარაღითა და საომარი მასალებით, რომლებიც სამხრეთ კორეაში შეაქვს ამერიკის მხარეს, არღვევს რა შეთანხმებას დაზავების შესახებ.

შეწყდა ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება სუეცის არხის ზონიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის შესახებ

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, დღეს ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად შეატყობინა ეგვიპტეს, რომ წყვეტს ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკებას. ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეგზავნა ოფიციალური ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისს უსარგებლოდ მიაჩნია გაგრძელდეს მოლაპარაკება სუეცის არხის ზონაში ინგლისის ბაზის ძმძავალი ბედის შესახებ.

გამოაქვეყნა რა ცნობა ინგლისის ნოტის შესახებ, რომ შეწყდა ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება, ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარი თქვა გაეკეთებინა რაიმე კომენტარი.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მანევრები ჟენევის თათბირთან დაკავშირებით

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, ჟენევის მომავალ თათბირთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები შეშფოთებას იჩენენ დასავლეთ სახელმწიფოთა შორის უთანხმოების გამო, კერძოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციებში მისი მიღების საკითხში, „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხში, აგრეთვე საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიას შორის საარის შესახებ მოლაპარაკების ჩიხში მოქცევის გამო.

სწორედ ამით აიხსნება, წერს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“, რომ ვაშინგტონი ახლა ცდილობს მოაწყოს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სხდომის მოწვევა პარიზში რამდენიმე დღით ადრე ჟენევის თათბირის გახსნამდე. როგორც გაზეთი აცხადებს, შეერთებულ შტატებს სურთ, რომ ეს სესია „დასავლეთის ერთიანობისა და ძალის დამადასტურებელი“ იყოს ჟენევის თათბირის წინ. ამასთან ერთად „კრისჩენ საიენს მონიტორი“ ეჭვს გამოთქვამს, რომ შესაძლებელი იყოს დადგებიოად გადაწყდეს პარიზში საარის საკითხი, და დასკვნას აკეთებს, რომ საფრანგეთმა საეჭვოა დაამტკიცოს ხელშეკრულება „ევროპის არმიის“ შესახებ ჟენევის თათბირამდე. ის პირობები, რომლებიც წამოაყენა საფრანგეთმა საარის შესახებ და იტალიამ—ტრიესტის შესახებ, წერს გაზეთი, „იმის ნაკლებ იმედს იძლევა, რომ დასავლეთი შეძლებს ჩავიდეს ჟენევაში, ისე, რომ ჰკავდეს ევროპის არმია როგორც თავისი ერთიანობისა და მიზნების ერთობლიობის გამომხატველი“.

„ამერიკის შეერთებული შტატები აიძულებენ საფრანგეთს განაგრძოს ომი ინდოჩინეთში“

დელი, 24 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ასამტრიბუნი“, კომენტარს უკეთებს რა სარედაქციო სტატიაში ინდოჩინეთის მდგომარეობას, წერს: „ცხადია, რომ საფრანგეთის პრესტიჟი მომავალში თანდათან დაეცემა, ხოლო მისი ადამიანთა და მატერიალური რესურსები გამოფიტება, თუ მან ხელი არ ბიძო თავის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე. საფრანგეთი რომ სხვაზე არ იყოს დამოკიდებული, იგი უკვე დიდი ხანია დატოვებდა ინდოჩინეთს. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები აიძულებენ საფრანგეთს განაგრძოს მოქმედება ინდოჩინეთში. გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წაქეზება აჩერებს საფრანგეთს ბრძოლის ველზე ინდოჩინეთში.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ლანიელმა ჩამოაყალიბა ცეცხლის შეწყვეტის წინადადების მიღების პირობები, ფიქრობდა რა, რომ თითქოს საფრანგეთი გამარჯვებული მხარეა. საფრანგეთის მხრივ სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ვიეტმინი (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. — **რედ.**) დატოვებს მის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს. საფრანგეთმა რეალურად უნდა შეხედოს საქმის ვითარებას და უარი თქვას ამერიკის რჩევაზე. საფრანგეთმა უნდა იცოდეს, რომ, როცა ერთ ბრმას მეორე ბრმა მიჰყავს, ორივე წაიბორძიკებს და დაეცემა“.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

25 მარტს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეხუთე პარტია. თეთრებით თამაშობდა სმისლოვი. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ხუთი პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 4:1 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

27 მარტს გაიმართება მორიგი მეექვსე პარტია. თეთრებით ითამაშებს ბოტვინიკი.

თბილისი

გაღები და პარკები საწარმოთა ტერიტორიაზე

ყოველწლიურად იზრდება საწარმოთა ტერიტორიაზე გაშენებული პარკებისა და ბაღების ქსელი. თბილისის ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანას აქვს რამდენიმე ჰექტარი პარკი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ხეხილისა და დეკორაციული ხეების საგაზაფხულო რგვა. ნერგები აქ მოიტანეს ქარხნის სანერგიდან, რომელიც მეზობელ საწარმოებსაც ამარაგებს. საწარმოს აქვს კარგი ორანეერია, რომელშიც მთელი წლის განმავლობაში იზრდება ყვავილები. ეს პარკი რკინიგზელებისა და მათი ოჯახების წევრების საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

ხეხილისა და დეკორაციული მცენარეების ასეთივე დიდი ბაღი გაშენებულია კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე. აქ ამ გაზაფხულზე დარგავენ ორი ათასზე მეტ ხეს, მოაწყობენ ლამაზ ყვავილნარებს.

დიდი მუშაობა წარმოებს პარკებისა და ბაღების გაფართოებისა და დამშვენებისათვის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ავტომშემკეთებელი ქარხნის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და თბილისის სხვა საწარმოების ტერიტორიაზე.

თავიანთ მწვანე ნარგავებს ხალისით უვლიან ქარხნის მუშები, სპეციალისტები.

სურათზე: ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა. ზ. იორდანიშვილი, ვ. ქაჯაია რგავენ მცენარეებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

პროფესორ ნ. კანდელაკის შეთვალთვალების სალამო

ამ დღეებში თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭომ და კომკავშირის კომიტეტმა გაიმართეს პროფესორ ნ. პ. კანდელაკის შემოქმედების საღამო.

ხელოვნებათმცოდნეებ შ. კვასხვაძემ დამსწრეთ უამბო მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და დაახასიათა იგი როგორც ერთ-ერთი მოწინავე მოქანდაკე. ნ. კანდელაკის აღზრდილები ირიან მოქანდაკეები სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. თოფურიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები შ. მიქატაძე და თ. აბაკელია, ე. მაჩაბელი, გ. თოთიძე და სხვები.

პროფესორ ნ. კანდელაკს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

აგრარულსაზრდო ფაბრიკაში

ამ დღეებში გაიმართა ფაბრიკის სამხატვრო საბჭოს გაფართოებული სხდომა საამქროების გამგეებთან და მუშა-მოსამსახურეებთან ერთად. სხდომაზე განხილულ იქნა ადგილობრივი მხატვრების მიერ გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის წარმოდგენილი ქსოვილთა 39 სხვადასხვა სახის მხატვრული სურათები. სამხატვრო საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა 31 ახალი სურათი, რომლებშიც გამოირჩევა მხატვრების ასმათ ნარიმანიშვილისა და ქეთევან პატარაიას ნახატები. ამრიგად ფაბრიკა უკვე გამოუშვებს ამ სურათებით მოხატულ ქსოვილებს.

* * *

ფაბრიკამ მიიღო ახალი მანქანა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ხარშავს და ღებავს ხამ ქსოვილს, რაც საგრძნობლად გაიუმჯობესებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. ფაბრიკა 4 მუშას გზავნის მოსკოვში ახალი მანქანის ასათვისებლად.

სასამართლოს დარბაზიდან

სპეკულანტები

ჯერჯერობით აქა-იქ კიდევ მოიპოვებიან ზნედაცემული ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სივიდეთან ეწევიან სპეკულაციას, ატყუებენ მოქალაქეებს. მათ წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღება დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

...ერთ დღეს მოქალაქე გ. ვოსკერჩიანი საოჯახო ნივთების შესაძენად თბილუნივერმაღში მივიდა.

— ლამაზი კარადა თუ გაქვთ? — ჰკითხა მან გამყიდველს. პასუხის მიღებამდე ვიღაც უცნობმა პირმა ყურში ჩასჩურჩულა:

— ტყუილუბრალოდ ეძებთ აქ მაგ ნივთს. გეთაყვა, ძალიან გსურთ შშვენიერი კარადა?

— რა თქმა უნდა!

— მაშინ გაითვალისწინეთ პირველი ის, რომ ჩემ მიერ შეძენილი კარადისათვის მარტო ქვითარში გამყიდველს სამოცდაათი მანეთი მივეცი, მეორე — გამოტანა, წაღება, ვინ ჩამოთვლის ხარჯებს, ერთი სიტყვით ტკბილად მოვრიგდეთ!..

მართლაც, სპეკულანტებმა ს. მამუდოვმა, ი. შაიბაზოვმა და ზ. მამუდოვმა მოქალაქე გ. ვოსკერჩიანს 807-მანეთიან კარადაში 1.300 მანეთი გამოართვეს.

სპეკულანტები მალე მილიციის ორგანოებმა შეიპყრეს.

ბოროტმოქმედთა საქმე ამ დღეებში გაარჩია თბილისის მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. გ. მაისურაძის თავმჯდომარეობით. სასამართლომ ს. მამუდოვს და ი. შაიბაზოვს სპეკულაციისათვის მიუსაჯა ექვს-ექვსი წლის პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. ზ. მამუდოვს მიესაჯა ხუთი წლის პატიმრობა ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ერთი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

განაჩენს დარბაზში დამსწრენი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ა. სხვაველი.

1954 წლის 29 მარტს, დილის 10 საათზე, მოწვეულია გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურციკიძე.

საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

26 მარტს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყობა ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილება ჩვენს ქვეყნაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და უამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“. ლექტორი დოცენტი ნ. ლომსაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

26 მარტს	ჟ. ბიზე — **კარმენი** (დასაწყისი საღამოს 7 ს.)
27 მარტს	1. პ. ჩაიკოვსკი — **იოლანტა** 2. არიები კლასიკური ოპერებიდან (გოჰარ გასპარიანის მონაწილეობით). (დასაწყისი საღამოს 8 ს.)

მოსწავლეებისათვის სპექტაკლის დასაწყისი საღამოს 7 ს. ბილეთები იყიდება დილის სპექტაკლების ფასებით 4 მანეთიდან 12 მანეთამდე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(დღის სპექტაკლების დასაწყისი 12 საათზე, საღამოსი — 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დიდი მომავლისათვის (დილას), ნიკოლოზ ბარათაშვილი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — გვარის დაუსახელებლად (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — თოვა და ავი ძალი (დილას), ძახველის ჭალა (საღამოს), **სომხური დრამის** — საცდელი მინდორი, **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები (დილა-საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კიკვიძე (აბონემენტი № 33, 12 ს.), ვასილ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (აბონემენტი № 39, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უბის წიგნაკი (10 ს. და 2 ს.), სიღარიბე საძრახისი არ არის (7 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ახანი, პლეხანოვის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, გორკის სახელობის პარკი—მარინეს ბედი.

„ზაგოტზერნის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **მინა ქაიხოსროს ასულ წულაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-III, 5 ს. ვახუშტის ქ. № 57.

გამომცემლობა და სტამბა „საბჭოთა მწერლის“ მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **პეტრე ვახილის-ძე ზედგინიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე რუსუდან, შვილები ედესია, ალექსანდრე, ერმილე, ლიზა, აგრაფინა, თინა, რძლები ეფროსინე, ნიუსია, სიძე სულთან, შვილიშვილი მიხეილ გავაშელები ოჯახებით იუწყებიან **ბესარიონ მარკოზის-ძე გავაშელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III ღამეში (ონის რ).

ლეონინე, ანეტა ვანიძეები, დარეჯან, კუკური ჭუბაბრიები იუწყებიან ძმის, მაზლის და ბიძის **ვასილ დიმიტრის-ძე ვანიძის** გარდაცვალებას.

ძმები ვასო, დავით, რძლები მარიამ, ნინო, ძმისწულები ალიოშა, ნაზი, მერი, პავლე, გიზო, რეზო, აბესალომ ეოენტები, ადა, გივი ნინიძეები იუწყებიან **მინა წულაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-III 5 ს. ვახუშტის ქ. № 57.

დები მაგდა, პოლინა, შუშანა ინნაძეები, ბიძაშვილები მარიკა ინნაძე, მედეა რუსია იუწყებიან **ანასტასია ანდრიას ასულ ინნაძე-ეზნიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-III 8 ს. გამოსვენება 28-III, 3 ს. ნიკო ნიკოლაძის ქ. № 5.

შვილები ქეთო, ვახტანგ ხელაძეები, შვილიშვილი ლეილა გორდელაძე, სიძე კ. რუხაძე იუწყებიან **სოფიო გრიგოლის ასულ ხელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-III, 8 ს. გამოსვენება 28-III, 3 ს. ბოჭორიშვილის ქ. № 19.

ტრესტ „საქმშენის“ მე-2 საშენებლო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ **იოსებ გიორგის-ძე ზუკაკიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-III, 5 ს. პანკისის ქ. № 1 (სამუზეუმო).

მეუღლე თეოფილე, შვილები ნადია, კლარა ანდრიაძეები, სიძე კარლო ბერძენიშვილი დედით მარიამით იუწყებიან **ელენე ანდრიაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-III, 8 ს. გამოსვენება 28-III, 4 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 37.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან ამავე საავადმყოფოს დამსახურებული ექიმის **თამარ ზაქარიას ასულ ქალანტაროვას** გარდაცვალებას.

პასუხი შეკითხვაზე

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა აღმავლობის გზაზე

შეკითხვა **თ. გეფაძისა** (ამბროლაურის რაიონი).

სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკში მტკიცედ დგას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც წარმატებით აკეთებს მშვიდობიან სახალხო მეურნეობას და განუხრელად მიემართება აღმავლობის გზით.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ცენტრალური აზიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. იგი ესაზღვრება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, უჭირავს 1.592 ათასი კვ. კილომეტრი ფართობი. მოსახლეობის რიცხვი 900 ათასს აღემატება. დედაქალაქია ულან-ბატორი დაახლოებით 80 ათასი მცხოვრებით.

მონღოლეთი წიაღისეულით მდიდარი ქვეყანაა. მოიპოვება ქვანახშირი, რკინა, ოქრო, სპილენძი, ფერადი ლითონები. ბუნების ეს სიმდიდრენი წინათ გამოყენებული არ ყოფილა მონღოლი ხალხის საკეთილდღეოდ. მონღოლეთი აზიის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მოსახლეობას სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ ერთი მხრივ ადგილობრივი ფეოდალები და სასულიერო წოდება, ხოლო მეორე მხრივ უცხოელი კაპიტალისტები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით აზიის სხვა ხალხთან ერთად თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად აღსდგა მონღოლი ხალხიც. 1920 წელს გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია და სახალხო-რევოლუციური არმია სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის ხელმძღვანელობით.

1921 წლის ივლისში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დახმარებით მონღოლმა ხალხმა თავისი სამშობლო გათავისუფლა უცხოელი დამპყრობლებისა და რუს თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან. გაიმარჯვა ანტიიმპერიალისტურმა და ანტიფეოდალურმა რევოლუციამ. შეიქმნა სახალხო მთავრობა, რომელმაც 1924 წელს მონღოლეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა, მიიღო ახალი კონსტიტუცია და შეუდგა დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას.

სახალხო ხელისუფლების წლებში მონღოლეთის რესპუბლიკამ განვითარების დიდი გზა განვლო. არატებმა — მესაქონლე გლეხებმა, რომლებიც მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენენ, თავი დაალწიეს საუკუნეობრივ მონობას, ისინი ახლა რესპუბლიკის სრულფასოვანი მოქალაქეები არიან. წარმოიშვა საკუთარი მუშათა კლასი, საკუთარი სახალხო ინტელიგენცია.

ძველი მონღოლეთი ფეოდალური მონობის ქვეყანა იყო. მთელი სიმდიდრე ფეოდალების, სასულიერო წოდებისა და უცხოელი კაპიტალისტების ხელში იყო თავმოყრილი, გაღატაკებული ხალხი უკულტუროდ ცხოვრობდა. იქ მაშინ 750 მონასტერი და მხოლოდ ერთი სკოლა და ერთი საავადმყოფო იყო. მოსახლეობის 99 პროცენტმა წერა-კითხვაც არ იცოდა.

საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით მონღოლეთის სახალხო მეურნეობა სწრაფ აღმავლობას განიცდის, ფართოვდება მრეწველობა, მეცხოველეობა, ვაჭრობა. მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე. სახალხო მთავრობამ 1947 წელს მიიღო კანონი საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შესახებ. ახლა მოსახლეობის 90 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნეა.

რესპუბლიკაში გახსნილია 450-მდე დაწყებითი და საშუალო სკოლა, 3 უმაღლესი სასწავლებელი. 1942 წელს ულან-ბატორში გაიხსნა ჩოიბალსანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელშიც 1.300-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ჯერეოვანი ყურადღება ექცევა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. გახსნილია 70-ზე მეტი საავადმყოფო, 300-ზე მეტი საექიმო პუნქტი, მრავალი დისპანსერი, სამშობიარო სახლი, სანავშვო ბაღი, პიონერთა ბანაკები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები. მონღოლურ ენაზე გამოდის 27 გაზეთი და 16 ჟურნალი. მონღოლი ხალხი მშობლიურ ენაზე კითხულობს და სწავლობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მრავალ ნაშრომს.

1947 წლის დეკემბერში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XI ყრილობაზე მიღებულ იქნა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა. 1948-1952 წლებში ეს გეგმა მონღოლმა ხალხმა წარმატებით შეასრულა. შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი დარგები. გაიხსნა ახალი ფაბრიკები, ქარხნები, შახტები, მაღაროები, დაინერგა საბჭოთა ნოვატორების გამოცდილება. გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

ხუთწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა მეცხოველეობა. არატთა საწარმოო გაერთიანებებსა და მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობებში 6,5-ჯერ გადიდდა პირუტყვის სულადობა. თუ 1924 წელს მონღოლეთში პირუტყვის სულადობა 13,7 მილიონს არ აღემატებოდა, ახლა სახალხო რესპუბლიკას 30 მილიონზე მეტი სული პირუტყვი ჰყავს. ამრიგად, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას მოსახლეობის თითეულ სულზე პირუტყვის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობები და არატთა საწარმოო გაერთიანებები აღჭურვილი არიან თანამედროვე მანქანებით და ყველა პირობა აქვთ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

სახალხო მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს საგზაო მშენებლობას. 1938 წელს გაყვანილ იქნა პირველი რკინიგზა, რომელიც დედაქალაქ ულან-ბატორს აკავშ